აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№58 (24.938) ხუთშაბათი, 9 - 10 ივნისი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 23-28, მაღალ მთაში - 15-20 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 18 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 756 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ზოგან მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა.

მთავრობის თავმჯდომარის ანგარიში – ხმაურისა და დაპირისპირების ფონზე

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ურთიერთბრალდებებითა და დაპირისპირებებით დაიწყო და, შეიძლება ითქვას, დასრულდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2021-2022 წლების ანგარიშის წარდგენა რეგიონის საკანონმდებლო ორგანოში, რომელსაც როგორც მმართველი გუნდის, ასევე ოპოზიციონერი დეპუტატები ეწრებოდნენ. შეხვედრაზე, რომელიც დაახლოებით 4 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, ისმოდა შეურაცხმყოფელი სიტყვები, ერთმანეთისთვის მმართველობაში ყოფნის წლებისა და იმ შეცდომების შეხსენება, რომელმაც, თავის დროზე თუ ახლა, როგორც თავად მიიჩნევენ, რეგიონის სხვადასხვა მიმართულებით განვითარებას შეუშალა ხელი. სხდომათა დარბაზში მყოფ საზოგადოებასთან ერთად, ფართო აუდიტორიასაც ჰქონდა შესაძლებლობა, ტელევიზიებისა და უმაღლესი საბჭოს ფეისბუქგვერდის საშუალებით, თვალი ედევნებინა სხდომის მიმდინარეობისთვის, რომელზეც, სამწუხაროდ, უმეტესი დრო არა იმ საკითხების განხილვას დაეთმო, რომელიც რეალურად ყველას აინტერესებდა, არამედ ერთმანეთის ლანძღვასა და სიტყვიერ დაპირისპირებას.

„მესმის რატომაც არ მოგწონვართ და, სხვათა შორის, მიხარია ეს. „ნაციონალურ მოძრაობას“ რომ მოვწონდე, აჭარაში აღარ ვიცხოვრებ, მინდა, ეს იცოდეთ თქვენ. პოლიტიკაში კი არა, სანამ ცოცხალი ვარ, სულ მიიღებთ ჩემგან საკადრის პასუხს. ვის ეშინია, ძალიან კარგად ვხედავთ, იმიტომ ხართ მოყუჟულები და უარგუმენტო ბრალდებებს გვიყენებთ, უარგუმენტოდ ადანაშაულებთ ჩემი ოჯახის წევრს. ჩვეულებრივი ყაჩაღი და ნასამართლევი ხარ, ბატონო ელგუჯა. რაც შეეხება გიორგი კირთაძეს, თქვენი საჯარო განცხადებებიც ვიცი და აქ რაც თქვით, ისიც. თქვენი საქმე არის ლოთობა, თქვენი საქმე არ არის აქ ყოფნა, გაიგეთ? ამიტომ, როცა ჩემზე კომენტარს გააკეთებთ, კარგად დაფიქრდით და აქ მოსული ნუ მიკითხავთ მორალს. მარტივი პრინციპია, შემეხები, შეგეხები. მორჩა. დაჯექით ახლა და ილოცეთ მიშასთვის“, - არაერთი მწვავე კრიტიკისა და ხმამაღალი ბრალდების მოსმენის შემდეგ, აღნიშნული სიტყვებით მიმართა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ოპოზიციონერ დეპუტატებს და დასძინა, რომ ის არ შეეგუებოდა იმ ბრალდებებს, რაც სხდომის განმავლობაში მოისმინა. თორნიკე რიჟვაძემ, ასევე, აღნიშნა, რომ ის არ აპირებდა ბოდიშის მოხდას, რადგან მისი განმარტებით, მართალი ადამიანი არასდროს იხდის ბოდიშს, ხოლო სიყვარული და პატივისცემა, როგორც მას ბავშვობიდანვე ასწავლეს, არის ორმხრივი.

„კაი მონდომებულზე ერთი-ორი ბოთლი ღვინის დალევა შემიძლია, აი, რაც შეეხება ბატონ თორნიკეს, როგორც ჩანს 3 ჭიქაზე ცუდად ხდება და მისი საზომით მე ლოთი სწორედ მაგიტომ ვარ. საბოლოოდ მოიჭრა თავი თორნიკე რიჟვაძემ ჩვენი რეგიონის წინაშე. თავის გამოსვლაში „ქართული ოცნების“ წევრი ლადო მგალობლიშვილი ამბობდა, როცა ინტელექტისაგან და ლოგიკისგან დაცლილი ხარ, მაშინ გადადიხარ უზრდელურ ქცევაზეო და, შეიძლება ითქვას, რომ სხდომაზე გაკეთებული განცხადებებისა და რეპლიკების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თორნიკე რიჟვაძეს არც არგუმენტი აქვს, არც ინტელექტი და უფრო მეტიც, ელემენტარული უნარებიც არ გააჩნია იმისთვის, რა თანამდებობასაც იკავებს“ - ასე უპასუხა გიორგი კირთაძემ ბრალდებებს.

სხდომაზე განვითარებული მოვლენების გამო საზოგადოებას ბოდიში მოუხადა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატმა ელგუჯა ბაგრატიონმა. მისი თქმით, მიუღებელია ის, რაც საკანონმდებლო ორგანოში ხდებოდა.

იხ. 22-23.

ᲙᲠᲘᲐᲚᲝᲡᲐ N ᲘᲣᲡᲘ

პარლამენტის თავმჯდომარემ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში 2021 წლის ანგარიში და 2022 წლის სამოქმედო გეგმა წარადგინა. „გვაქვს მოლოდინი, რომ ევროკავშირი პოზიტიურად უპასუხებს ჩვენი ქვეყნის ძალისხმევას და ჩვენი ხალხის მტკიცე სურვილს. წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებით ევროკავშირს შეუძლია დაადასტუროს ჩვენი რეგიონისადმი გრძელვადიანი ინტერესი და შეზღუდოს საქართველოს არაკეთილისმოსურნეთა შესაძლებლობები,“ - განაცხადა შალვა პაპუაშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

* * *

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებმა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ახალ რეგიონულ დირექტორთან ევა ბუჟასთან გაცნობითი შეხვედრა გამართეს. მხარეებმა იმ პრიორიტეტების შესახებ ისაუბრეს, რომელიც ცალკეულ კომიტეტებსა და ზოგადად, პარლამენტს აქვს საქმიანობაში და განიხილეს თემები, რომელთა ირგვლივაც ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტთან თანამშრომლობა იგეგმება.

* * *

„ქართული ოცნება“ ჩემზე ფიზიკურ თავდასხმას გეგმავს, - განაცხადა „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ. მისივე თქმით, მოჭიდავე დეპუტატებს დაავალეს პროვოკაციის მოწყობა, დავალება გაცემულია პარტიის ხელმძღვანელობის მხრიდან. „ოცნებას“ პასუხი არ აქვს საკითხებზე, რასაც ვსვამთ და გინდათ გადახვიდეთ ფიზიკურ ანგარიშსწორებაზე. უკან არ დავიხევთ და საზოგადოებას თქვენს რეალურ სახეს ვაჩვენებთ,“ - განაცხადა ვაშაძემ.

* * *

თუკი ევროკავშირში ოპოზიციას უჭერებენ და ჩვენ დავდივართ კაბინეტებში, ისინი რას აკეთებენ? - ასე ეხმიანება „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ლევან ბეჟუაშვილი მმართველი გუნდის წევრთა განცხადებებს, რომ ოპოზიციას ჰყავს ცალკეული ლობისტები, რომლებიც კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით ნეგატიურ გადაწყვეტილებაზე მუშაობენ. „მსგავსი ბრალდებები ხელისუფლების პოზიციების სისუსტეს აჩვენებს“, - დასძინა მან.

* * *

ნინო ლომჯარია, ამ ბოლო დროს განსაკუთრებით, „ნაცების“ სახალხო დამცველად გადაიქცა, - განაცხადა ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ. ლომჯარიამ საქართველოს პრეზიდენტს მიმართა, ტელეკომპანია „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორი შეიწყალოს.

მოამზადა
ია შველიძემ

საკმარისია თუ არა, უბრალოდ, კარგი ადვოკატობა?

4

«ყოველთვის ღიად ვსაუბრობ და შეცდომებსაც ვაღიარებ»

6

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

არჩილ ჩიქოვანი ათეას-ს ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე „საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის“ ვიცე-პრეზიდენტებად აირჩიეს

„საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს რიგით XXXIX სხდომა გურჯაანის მუნიციპალიტეტში გაიმართა. სხდომის წევრების გადაწყვეტილებით, ასოციაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტის პოსტს კვლავ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე - გიორგი ტყემალაძე დაიკავებს. მეორე ვიცე-პრეზიდენტად კი საბჭოს წევრებმა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი - არჩილ ჩიქოვანი აირჩიეს.

- მადლობა მინდა გადაგიხადოთ მხარდაჭერისთვის. უდიდესი პასუხისმგებლობაა, იყო საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი. მზად ვარ აქტიური თანამშრომლობისთვის. მნიშვნელოვანია თვითმმართველობის ასოციაციის როლი როგორც მუნიციპალიტეტებთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიმართებაში. დარწმუნებული ვარ, თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის საქმიანობა კიდევ უფრო წარმატებული იქნება. ჩვენ ერთობლივად შევძლებთ მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელებას, - განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა.

გასვლით სხდომაზე გენდერული პოლიტიკის ლოკალიზაციის პროცესში ასოციაციის როლსა და ორგანიზაციის გენდერული თანასწორობის საკოორდინაციო საბჭოს, როგორც აღნიშნულ პროცესში ერთი-ერთი მთავარი აქტორის, მნიშვნელობაზე იმსჯელეს.

სხდომა გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა, რომელსაც საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს ახლადარჩეული წევრები, ასევე ათეა-ს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე - ნათია ღვინაშვილი და აპარატის თანამშრომლები ესწრებოდნენ.

მთავრობის თავმჯდომარის ანგარიში – ხმაურისა და დაპირისპირების ფონზე

პირველი გვერდიდან

- სხდომა დაიწყო თუ არა, ვითხოვეთ, რომ გვემუშავა ყოველგვარი კამათისა და ზედმეტობის გარეშე, რომ მოსახლეობის პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე გვქონოდა ძირითადი ორიენტაცია აღებული. სამწუხაროდ, შეურაცხმყოფელი სიტყვების ასეთ კორიანტელს მთავრობის თავმჯდომარისგან, არ ვიცი, რა სახელი შეიძლება ვუწოდო. ბოდიშს იმიტომ ვიხდი, რომ, რა თქმა უნდა, ასეთი დაპირისპირებების მოსმენა არის მიუღებელი. თუმცა, დამიჯერეთ, ამდენი ზიზღის ენა, ამდენი ცილისწამება, განსაკუთრებით მთავრობის თავმჯდომარის მხრიდან, შეუძლებელს ხდის, თავი შეიკავო და ემოციები მართო. კიდევ ერთხელ ვამბობ, დაუმსახურებლად ამდენი ტალახის სროლა, ცილისწამება და ასეთი რიტორიკა მთავრობის თავმჯდომარისგან, მიუღებელია, და, რა თქმა უნდა, ძნელად ასატანმოსათმენი. ჩვენ ხომ იმ კითხვებს ვსვამთ, რაც საზოგადოებაში არის, ჩვენ ხომ არ ვიგონებთ ახალ რაამეს. სხდომაზე ჩვენ მიერ დასმული ყველა კითხვა მოდის მოსახლეობისგან და ის ეხება სიღარიბეს, კორუფციას, ბიუჯეტიდან ფულის მოპარვას, ზოგადად, ფასებს ქვეყანაში, როგორც მედიკამენტებზე, ასევე, საკვებ პროდუქტზე, საწვავზე. ამასთან, საზოგადოებაში არის კითხვები ბიზნესებზე, რომლის ე.წ. კრიშა არის თორნიკე რიჟვაძის მამა. მესმის, რთული ასატანია ეს კითხვები, მაგრამ მისი მამა არის თანამდებობის პირი, რომლის მისამართითაც არსებობს კითხვები. მთავრობის თავმჯდომარის პასუხზე, რომ მე აღნიშნულ ბრალდებაზე არ გამაჩნია არგუმენტი, ვთავაზობ მას, ჩემ მიერ გაჟღერებულ საკითხებზე დაიწყოს მოკვლევა შესაბამისმა სამსახურმა და აბსოლუტურად ყველა დეტალს მივუტანთ და დავუდებთ, თუ სად და ვისთან ჰქონდათ კვეთა ბიზნესთან მიმართებაში. ასევე, ვაცხადებ, ხდება ინერტული მასალის მოპარვა. თქვენ შეგიძლიათ ჭოროხზე ხიდი ნახოთ, რა მდგომარეობაშია, ვგულისხმობ მახო-თხილნარის დამაკავშირებელ ხიდს, სადაც, გავიმეორებ, რომ ხდება ინერტული მასალის მოპარვა, ამ ყველაფერში კი, სამწუხაროდ, კრიმინალური სამყარო და ხელისუფლება ერთად, ტანდემში ახდენენ აღნიშნული მასალის მოპარვას, რაზეც თავისთავად არანაირი რეაგირება არ კეთდება. ასევე, ბატონი თორნიკეს გაღიზიანება გამოიწვია ნუგზარ ფუტკარაძის გარდაცვალების საკითხზე ჩანაწერების ხსენებამ, სადაც მოსყიდვის მცდელობაა, როცა ფულს სთავაზობენ მას, ზეწოლაა, როცა ოჯახის წევრებზე ელაპარაკებიან და მესამე, როცა მთავრობის თავმჯდომარის მამის, პოლიციის მაღალჩინოსნის სახელით ლაპარაკობენ, რა თქმა უნდა, ამაზე კითხვის ნიშნები არსებობს და ამაზე უნდა თუ არა, თორნიკე რიჟვაძეს მოუწევს პასუხების გაცემა, - განაცხადა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატმა ელგუჯა ბაგრატიონმა.

„ქართული ოცნების“ დეპუტატის, ტიტე აროშიძის თქმით, ოპოზიცია, როგორც წესი, ეცადა დესტრუქციული წესით აერია უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომა, მაგრამ ეს არ გამოუვიდათ, რადგან მათ მიიღეს ყველა იმ შეკითხვაზე პასუხი, რაც აინტერესებდათ.

- მინდა შევეხო ოპოზიციონერი კოლეგების გამოსვლას, თუნდაც ოჯახის შეურაცხყოფა, ზონდერის წოდება, ეს ყველაფერი მიუღებელია. პირდაპირ ვამბობ, რაც იქნება ოპოზიციის მხრიდან, ადეკვატური პასუხი გაეცემათ მათ ნებისმიერ უკანონო ქმედებაზე და ის გამოსვლები, რომლებიც მათ სხდომაზე მოაწყვეს, უმაღლეს საბჭოში, იყო დესტრუქცია, ეს იყო მცდელობა სიტუაციის არევისა, მაგრამ მათ კიდევ ერთხელ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში, - აღნიშნა ტიტე აროშიძემ.

მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე პლენარული სხდომა ხმაურისა და დაპირისპირების ფონზე წარიმართა, აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ 2021-2022 წლებში განხორციელებულ თუ დაგეგმილ ღონისძიებებსა და პროექტებზე ისაუბრა. თორნიკე რიჟვაძემ ყურადღება არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა, მათ შორის, განსაკუთრებული ადგილი დაუთმო ტურიზმს და განაცხადა, რომ აჭარაში ტურიზმის აღდგენის მზარდი და დადებითი დინამიკაა. თორნიკე რიჟვაძის ინფორმაციით, 2022 წლის I კვარტალის მონაცემებით, საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები უკვე აღდგენილია 51%-ით 2019 წელთან შედარებით. მისივე ინფორმაციით, 2022 წლის ივნისში ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში 20-ზე მეტი ავიაკომპანიის მიერ, 12 ქვეყნიდან, 300-მდე საერთაშორისო რეისი განხორციელდება, ამასთან, წელს რეგიონში 5 ახალი ავიაკომპანია შემოვიდა: Airbaltic-ი, Flydeal-ი, Jordan-ი, Aviation-ი, Aseman-ი და Uzbekistan Airways-ი. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ წელს პირველად, რიგიდან ბათუმის მიმართულებით პირდაპირი ფრენები შესრულდა, ივნისიდან კი დაიწყება პირდაპირი რეისები ბათუმი-დუბაის, საუდის არაბეთის მიმართულებით, განახლდება ფრენები ბაქოს მიმართულებით, დაემატა რეისები ისრაელიდან, შესრულდება რეისები ტაშკენტიდანაც. მთავრობის თავმჯდომარემ აჭარაში სპორტისა და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების სწრაფ ტემპებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ბოლო 4 წელიწადში 300 მლნ ლარის ღირებულების სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. მან განსაკუთრებული სიამაყით ისაუბრა ბათუმის საფეხბურთო სტადიონზე და ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის სასიხარულო ინფორმაცია დააანონსა. თორნიკე რიჟვაძის განცხადებით, სტადიონი 2023 წელს უმასპინძლებს 21 წლამდელთა ნაკრები გუნდების ევროპის ჩემპიონატის ფინალს. როგორც აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ აღნიშნა, ყოველწლიურად მზარდია აჭარაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება. მისივე განმარტებით, ბიუჯეტის ზრდასთან ერთად, გაიზარდა ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და დასაქმების პროგრამების ბიუჯეტი. მიზნობრივი ჯგუფებისათვის გაუმჯობესდა სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობა, სიახლეები დაინერგა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში, შეიქმნა ახალი პროგრამები და ქვეპროგრამები, შეიცვალა დაფინანსების მეთოდოლოგია. თორნიკე რიჟვაძემ თავის ანგარიშში, ასევე, მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარებას, ისაუბრა ბათუმში განათლების ქალაქის მშენებლობაზე და აღნიშნული მიმართულებით გადადგმულ არაერთ მნიშვნელოვან სიახლეზე. რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, თორნიკე რიჟვაძის განცხადებით, განხორციელება დაიწყო სამთავრობო პროგრამისა „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“, რომლის თანახმადაც პრობლემა 3000 ოჯახს მოუგვარდება. სხდომის მიმდინარეობისას მთავრობის თავმჯდომარეს დეპუტატებმა კითხვები მაღალმთიანი აჭარის გაზიფიცირებასთან დაკავშირებითაც დაუსვეს. თორნიკე რიჟვაძის განმარტებით, პროექტი დასკვნით ეტაპზეა. მისივე ინფორმაციით, მეორე ეტაპზე, 2020 წელს, შუახევიდან გოდერძიმდე 56 კმ სიგრძის გაზსადენი მილების მოწყობა დასრულდა, რითაც ჯამში 15 200 აბონენტის გაზიფიცირება მოხდება. მთავრობის თავმჯდომარემ ისაუბრა სოფლის მეურნეობაში განხორციელებულ ღონისძიებებზეც.

ანგარიშის წარდგენის შემდეგ თორნიკე რიჟვაძემ უმაღლესი საბჭოს წევრების შეკითხვებს უპასუხა. მათი უმეტესობა არაერთ პრობლემურ საკითხს მოიცავდა, მათ შორის, სოფლად წყალმომარაგებაში არსებულ გამოწვევებს, საგზაო მიმართულებით არსებულ პრობლემებს, მაღალმთიანი აჭარის ინტერნეტიზაციას. კითხვები შეეხო ე.წ. ოცნების ქალაქსაც. თორნიკე რიჟვაძის განცხადებით, 2022 წელს, არაერთ მნიშვნელოვან პროექტთან ერთად, სრულდება ყველაზე დიდი სოციალური პროექტის, ე.წ. ოცნების ქალაქის პირველი ეტაპის მშენებლობა, სადაც 582 ოჯახს გადაეცემა ბინა და ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ ყველა ოჯახი არ იქნება უზრუნველყოფილი უსაფრთხო საცხოვრისით. მისივე განცხადებით, დაიწყო მეორე ეტაპის განხორციელებისათვის საჭირო პროცედურები.

- მიუხედავად გამოწვევებისა, ვცდილობთ, ბიუჯეტის შესაძლებლობების ფარგლებში, ყველა სეგმენტი მოვიცვათ და მთავრობასთან ერთად მაქსიმალურად გავითვალისწინოთ მოსახლეობის ინტერესები. არავინ არ ვცხოვრობთ მარსზე, რა თქმა უნდა, ვხედავთ პრობლემებსაც, ჩვენც გვხვდებიან ქუჩაში გაჭირვებული ადამიანები, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ ქართული ფენომენი და მე ვისურვებდი, ჩვენ, ყველას ერთად, გაცილებით მეტი გაგვეკეთებინოს იმისთვის, რომ რაც შეიძლება ნაკლები გაჭირვებული ადამიანი გვყავდეს რეგიონში და ზოგადად ქვეყანაში, - აღნიშნა შემაჯამებელ სიტყვაში აჭარის საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ.

კანონმდებლებმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი ანგარიში ცნობად მიიღეს.

ამბები

გმირი დააფასეს

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

გასული საუკუნის 70-იან წლებში კვატიელი თეიმურაზ ბერიძის ოჯახი ხულოს რაიონიდან კახეთში, კერძოდ, ფიროსმანის

მეურნეობაში გადავიდა საცხოვრებლად. თეიმურაზი ოთხ დედმამიშვილთან ერთად იზრდებოდა. სოფელი და ახლობლები მას კაცთმოყვარე, მშრომელ ჭაბუკად იცნობდნენ. 2006 წლიდან კონტრაქტით მსახურობდა სენაკში.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს იგი სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. რუსი ოკუპანტების ტყვიამ შინდისში იმსხვერპლა...

თეიმურაზი, თავდაპირველად, ფიროსმანში დაკრძალეს, შემდეგ ოჯახი დაბა ჩაქვში გადმოვიდა საცხოვრებლად. მათი თხოვნის საფუძველზე, თეიმურაზის ნეშტი კახეთიდან აჭარაში, კერძოდ, ფერიის ძმათა სასაფლაოზე გადმოასვენეს. ახლა შინდისის ომის გმირს საზოგადოება აქ მიაგებს პატივს.

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიამ სამშობლოს წინაშე ღვაწლი არ დაუკარგა ეროვნულ გმირს და მის უკვდავსაყოფად, სოფელ კვატიის ცენტრში, მემორიალი დადგა.

- ჩვენ არ ვივიწყებთ აგვისტოს ომის გმირებს, - გვითხრა ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ, - ნადიმ ართმელაძესთან, მერაბ ჭელიძესთან ერთად, პატივს მივაგებთ თეიმურაზ ბერიძის ნათელ ხსოვნას. ეამაყებათ მშობლებს, რომ ქვეყანას შინდისის გმირი გაუზარდეს.

მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მეწყერსაშიშ ზონაში არსებულ საცხოვრებელ სახლებთან და გზებზე ფერდსამაგრი კედლების მოწყობა აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

მუნიციპალიტეტის მერმა ზაზა დიასამიძემ სხვადასხვა ლოკაციაზე ფერდსამაგრი კედლების, გაბიონების მოწყობის სამუშაოები და თხილნარის ადმინისტრაციულ ერთეულში აგარის დაწყებითი სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოები დაათვალიერა.

აგარის დაწყებითი სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოებს შპს „იურ ბუილდინგ კომპანი“ აწარმოებს.

პროექტის ღირებულება - 137 776 ლარია.

რეაბილიტაცია ერთ თვეში დასრულდება.

რუსული პროპაგანდის მეტამორფოზა

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

თანამედროვე მსოფლიოს მთავარი იარაღი რომ პროპაგანდაა, საყოველთაოდაა ცნობილი. მას რუსეთი წარმატებულად იყენებს პოსტსაბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ. ევროპულ გზაზე ხელი რომ არ შეგვეშალოს, საჭიროა დიდი ძალისხმევა, ხელისუფლების მოქნილი პოლიტიკა, ასევე, საზოგადოების გაცნობიერება რუსული პროპაგანდის არსში

ცხადია, რუსული პროპაგანდის ამოცანა სიმართლის გარკვევა კი არ არის, არამედ პოლიტიკურ მიზანს ემსახურება. ეს მიზანია პოსტსაბჭოთა სივრცეში პროორუსული დისკურსის გაძლიერება, შესაბამისად, ევროპული ფასეულობების ნიველირება - თითქოს ევროპა გარყვნილია, რუსეთი კი ერთმორწმუნე და კეთილმოსურნე, რაც ძალზე მცდარი შეხედულებაა. რუსეთთან ორასწლოვანი ურთიერთობა გვასწავლის, რომ იგი საქართველოს სახელმწიფოებრიობას ებრძვის, ამიტომ ჩვენი გზა არის დასავლეთი, სადაც სახელმწიფოების თავისუფალ არჩევანს პატივს სცემენ და მათ ინტერესებს ითვალისწინებენ.

„აუცილებლია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება რუსულ პროპაგანდასთან დაკავშირებით, რათა არ გავხდეთ მისი მსხვერპლი. დარწმუნებული ვარ, რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ პროპაგანდისტულ ომში საბოლოოდ მაინც დამარცხდება. ამის საუკეთესო მაგალითი იქნება საქართველოსთვის ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატობის მინიჭება

რას მოიცავს კრემლისეული პროპაგანდა და ძირითადად რაზე კეთდება აქცენტი?

ექსპერტთა თქმით, კრემლის მიზანი (რუსეთის იმპერიის გაჩენიდან დაწყებული) არის ერთი - გავლენის სრულად და უპირობოდ გავრცელება და ჩვენი სატელიტის მდგომარეობაში ყოფნა. გარდა ამისა, ის ცდილობს, ჩიხში შეიყვანოს ევროკავშირის შემოთავაზებები - რუსული პროპაგანდა აპიარებს, თითქოს ჩვენ - ქართველები დავკარგავთ ეროვნულობას, სარწმუნოებას, კულტურას, თავად კი, როგორც ერთმორწმუნე მეზობელი, ჩვენ გვერდითაა და მომავალშიც ამას აპირებს და მხოლოდ მათთან ყოფნით შევძლებთ ეროვნულობის შენარჩუნებას. რუსეთისგან განსხვავებით, დასავლეთი არაფრის უარყოფას არ გვთხოვს. ამ მიმართებით რუსული პროპაგანდა მეტამორფოზას განიცდის და ზოგ შემთხვევაში წარმატებასაც აღწევს, ძირითადად, პოსტსაბჭოთა სივრცეში... მაგალითად, წლების განმავლობაში ვხედავთ, რომ როგორც კი ევროკავშირი და ნატო საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას დააპირებს, ანუ ჩვენი არჩევანი არ არის რუსეთის სასარგებლოდ, ეს უკანასკნელი ყოველთვის გადადის ძალისმიერ მეთოდებზე. ეს 2008 წლის აგვისტოს ომმაც დაადასტურა. ის სწორედ იმიტომ მოხდა, რომ ჩვენს ქვეყანას მაპ-ი არ მიეღო. კრემლი აპიარებს მოსაზრებას, რომ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს არ მიიღებენ. რუსული პროპაგანდის ცვლილება დამოკიდებულია მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებზე, ისინი ამძაფრებენ პროპაგანდას საჭიროების მიხედვით. აქ საუბარია არა თავად მათი მხრიდან გადასადგამ კონკრეტულ ნაბიჯებზე, მაგალითად, დეოკუპაციაზე, არამედ მათ სურვილზე - საქართველო არ უნდა გახდეს დასავლეთის ნაწილი და უნდა იყოს რუსეთთან ერთად. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში რუსული დისკურსის მომძლავრება დასავლეთის ქმედებებმაც, უფრო სწორად, უმოქმედობამ განაპირობა: წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანას კურსი ევროპისკენ აქვს აღებული, ჩვენი მოსახლეობა საახალწლო საჩუქარივით ელოდება ნატოში გაწევრიანებას, თუმცა ყოველთვის „გვამშვიდებენ“, რომ ამას დრო სჭირდება. წლების განმავლობაში რაღაცას რომ ითხოვ და არ გამოდის, ამას ხშირად მოჰყვება ხოლმე ფარხმლის დაყრა, თუმცა საზოგადოების დიდი ნაწილი მაინც იმედიანადაა განწყობილი საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის თვალსაზრისით. ეს იმედი რუსეთ-უკრაინის ომში ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა. დღეს ველოდებით 24-25 ივნისს, როცა შესაძლოა საქართველოს, მოლდოვას და უკრაინას ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატის სტატუსი მიანიჭონ, რაც ეპოქალური მოვლენა იქნება ზემოაღნიშნული ქვეყნების დასავლეთთან ინტეგრაციის თვალსაზრისით. ეს შანსი, გარკვეულწილად, უკრაინის დამსახურებაა. უკრაინელთა შემართება და ბრძოლისუნარიანობა რომ არა, კრემლის ჯარები ახლა პოლონეთის საზღვართან იქნებოდნენ. სხვათა შორის, უკრაინა არა მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით ამარცხებს რუსეთს, არამედ პროპაგანდისტულ ომშიც სჯაბნის, ყველა აღიარებს, რომ რუსეთმა უკრაინასთან მსოფლიო მასშტაბის პროპაგანდისტული ომი წააგო. სამწუხაროდ, საქართველოში რუსული პროპაგანდა მოსახლეობის ნაწილზე ზემოქმედებას ახდენს, რაც მეტწილად ხელისუფლების და, ასევე, მასმედიის მინუსიცაა. ევროსკეპტიკოსები ევროპას ზნეობას უწუნებენ, რუსეთი კი ქრისტიანობის ეტალონად მიაჩნიათ. არადა, ძნელია 24 თებერვლის შემდეგ, როცა რუსეთი შეიჭრა უკრაინაში, ასეთივე მოსაზრებებზე დარჩეს გონიერი ადამიანი. თუ ევროპა გარყვნილია, თურქეთიც კი ევროპისკენ რატომ იხრება, ანდა სირიელი, ავღანელი ლტოლვილები (რომ არაფერი ვთქვათ პოსტსაბჭოთა მოსახლეობაზე) რისთვის მიემგზავრებიან ევროპაში? რატომ არ მიდიან რუსეთში, აზიაში? ცხადია, ევროპა იმიტომ იზიდავთ, რომ იქ ადამიანის უფლებები ყოველმხრივ დაცულია.

სწორედ ამის შესახებ საუბრობს პოლიტოლოგი გელა ირემაძე: „ხელისუფლებამ საზოგადოებას დაწვრილებით უნდა აუხსნას, რა სიკეთის მომტანია დასავლური კურსი ქვეყნის სამომავლო განვითარებისთვის... ჩემი აზრით, საქართველომ ევროპული კურსი უნდა გააგრძელოს, მაგრამ სამომავლოდ ასევე აუცილებელია, დავალაგოთ ურთიერთობა რუსეთთან. მიუხედავად იმისა, ვიქნებით თუ არა ნატოს წევრი, გეოგრაფიულად რუსეთი ჩვენი მეზობელი დარჩება და ამ რეალობას ვერსად გავექცევით. ურთიერთობის დალაგებაში არ ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენმა ქვეყანამ თავი დახაროს და თქვას, დამნაშავე ვიყავიო, - არა, მაგრამ საჭიროა იმ კითხვებს გაეცეს პასუხები, რომლებიც წლების განმავლობაში დაგროვდა. ჩვენ უნდა ვეცადოთ რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას ქართული ინტერესების გათვალისწინებით“. ანალოგიური შეხედულებისაა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი გიგა ფარტენაძე: „მთავრობამ უნდა შეიმუშაოს სპეციალური სტრატეგია, განსაზღვროს ტაქტიკური მოქმედების ხერხები, რომელთა შესაბამისად იმოქმედებს, როგორც სახელმწიფო, ისე მოქალაქეები. აუცილებლია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება რუსულ პროპაგანდასთან დაკავშირებით, რათა არ გავხდეთ მისი მსხვერპლი. დარწმუნებული ვარ, რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ პროპაგანდისტულ ომში საბოლოოდ მაინც დამარცხდება. ამის საუკეთესო მაგალითი იქნება საქართველოსთვის ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატობის მინიჭება“.

უდავოა, რომ რუსული პროპაგანდის ძირითადი ინსტრუმენტი საქართველოს მოსახლეობაში ანტიდასავლური გზავნილებია, ამიტომ ევროპულ გზაზე რომ წარმატებით გავიდეთ, დიდი ძალისხმევა, მთავრობის მოქნილი პოლიტიკაა საჭირო, ასევე მასმედიის გააზრებული მუშაობა, რათა თითოეულმა მოქალაქემ გააცნობიეროს დასავლური კურსის უპირატესობა რუსულთან შედარებით.

კარლ ჰარცელის შეფასებით...

საქართველო აგრძელებს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების მიღებას დაჩქარებული საპარლამენტო პროცედურებით, აუცილებელი ადგილობრივი თუ საერთაშორისო კონსულტაციებისა და ევროპულ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის სათანადო ანალიზის გარეშე, - ასე გამოეხმაურა გუშინ ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანას.

ელჩმა შეშფოთება გამოთქვა, რომ მიმდინარე ცვლილებები მნიშვნელოვნად ზღუდავს საქართველოს მოქალაქეების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, მათ პირად ცხოვრებაში გაუმართლებელი შეჭრისა და პერსონალური მონაცემების დაცვის საკმარისი გარანტიების გარეშე.

„გუშინ საქართველოს პარლამენტმა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებები მიიღო, რომლის შესაბამისად მატულობს სამართალდარღვევათა რაოდენობა, რომელთა მიმართებაში ნებადართული იქნება ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, ხოლო ამ მოქმედებების ხანგრძლივობა იზრდება.

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანა უსაფრთხოების თვალსაზრისით შეიძლება ლეგიტიმური იყოს, შეშფოთებით აღვნიშნავთ, რომ მიმდინარე ცვლილებები მნიშვნელოვნად ზღუდავს საქართველოს მოქალაქეების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, მათ პირად ცხოვრებაში გაუმართლებელი შეჭრისა და პერსონალური მონაცემების დაცვის საკმარისი გარანტიების გარეშე.

ევროკავშირმა აღნიშნული ცვლილებების მიღებამდე ამ საკითხთან დაკავშირებით შეშფოთება საქართველოს პარლამენტს გაუზიარა და შესთავაზა, რომ ახალი კანონმდებლობა საბოლოო შემუშავებამდე ვენეციის კომისიასთან ყოფილიყო გაგზავნილი, რათა ევროპულ სტანდარტებთან და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან მისი შესაბამისობის შეფასება მომხდარიყო. ვწუხვართ, რომ საქართველოს პარლამენტმა ამ კანონპროექტის მიღება მსგავსი კონსულტაციების გარეშე გადაწყვიტა.

ვხედავთ, რომ საქართველო აგრძელებს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების მიღებას დაჩქარებული საპარლამენტო პროცედურებით, აუცილებელი ადგილობრივი თუ საერთაშორისო კონსულტაციებისა და ევროპულ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის სათანადო ანალიზის გარეშე.

მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, შეასრულოს თავისი ვალდებულებები საქართველოს მოქალაქეების ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვასთან დაკავშირებით და, ასევე, უზრუნველყოს ადეკვატური და ეფექტიანი გარანტიები მათი პოტენციური დარღვევის წინააღმდეგ. მოვუწოდებთ პარლამენტს, დაუყოვნებლივ მიმართოს ვენეციის კომისიას მოსაზრებისთვის ამ კანონპროექტთან დაკავშირებით და მისი რეკომენდაციები გაითვალისწინოს.

ასევე მოვუწოდებთ მთავრობას, დიპლომატიურ საზოგადოებას 2021 წლის სექტემბერში გამოვლენილ საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ ფართომასშტაბიან მიყურადებასთან დაკავშირებით დაპირებული გამოძიების შედეგები აცნობოს“, - აღნიშნავს კარლ ჰარცელი, რომელის კომენტარსაც საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა ავრცელებს.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

ყოველდღიურად ვაცხადებთ, რომ მზად ვართ უზრუნველვყოთ უკრაინის პორტებიდან და ბოსფორის ყურისკენ მიმავალი გემების უსაფრთხოება. ჩვენ მზად ვართ, გავაკეთოთ ეს ჩვენს თურქ კოლეგებთან ერთად, - განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა თურქ კოლეგა მევლუთ ჩავუშოღლუსთან ანკარაში შეხვედრის შემდეგ. მისივე თქმით, მარცვლეულის გადაზიდვის განახლებაზე პასუხისმგებლობა უკრაინას ეკისრება, ვინაიდან რუსულმა მხარემ ყველა საჭირო ვალდებულება შეასრულა. „პრობლემის გადასაჭრელად მხოლოდ საჭიროა, უკრაინელებმა გემები გაუშვან თავიანთი პორტებიდან ან მათი განაღმვით, ან უსაფრთხო დერეფნების მონიშვნით, მეტი არაფერი“, - დასძინა ლავროვმა.

* * *

გერმანიის ყოფილმა კანცლერმა ანგელა მერკელმა განმარტა, თუ რატომ არ დაუჭირა მხარი 2008 წელს საქართველოსა და უკრაინისთვის ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მინიჭებას. ინფორმაციას გამოცემა „დოიჩე ველე“ ავრცელებს. სააგენტოს ცნობით, მერკელმა განმარტა, რომ თუ ნატო ქვეყნებს ალიანსში გააწევრიანებდა, პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს შესაძლოა, „უკრაინისთვის უდიდესი ზიანი“ მიეყენებინა, როგორიც საქართველოს შემთხვევაში ბუქარესტში დეკლარაციის მიღებიდან 6 თვეზე ნაკლებ დროში მოხდა. მერკელის თქმით, ამ შეჭრამ 21-ე საუკუნეში ევროპის პირველ ომს პროვოცირება გაუწია. „იმ დროს უკრაინა ნამდვილად იყო ოლიგარქების მიერ მართული ქვეყანა... არ იყო სტაბილური დემოკრატია და როცა ქვეყანას ნატოში იღებ, უნდა იცოდე, რომ მზად ხარ, დაიცვა, თუ იქნება თავდასმა“, - განაცხადა მერკელმა.

* * *

უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის არ უნდა უბიძგონ რუსეთთან ცუდი სამშვიდობო შეთანხმების მიღწევისკენ, - ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა. მისივე განმარტებით, ცუდი შეთანხმებები დიდხანს არ გრძელდება. ჯონსონმა განაცხადა, რომ გაერთიანებული სამეფო უკრაინის მხარდამჭერთა შორის წინა ხაზზეა. „მსოფლიომ თავიდან უნდა აიცილოს ნებისმიერი შედეგი, რომლის მიხედვითაც პუტინის გაუმართლებელი აგრესია მისთვის სასურველი სცენარით დასრულდება“, - დასძინა ბრიტანეთის პრემიერმა.

* * *

არსებობს შეთანხმება უკრაინასთან მარცვლეულის 25%-იანი ფასდაკლებით შეძენაზე, თუმცა მათ წინაშეა დილემა პროდუქციის უსაფრთხო ექსპორტის სახით და სურთ, რომ თურქეთმა შეასრულოს არბიტრის როლი ამ პროცესში. უკრაინაც და რუსეთიც ჩვენ გვენდობა“, - განაცხადა თურქეთის სოფლის მეურნეობისა და ტყის მინისტრმა ვაჰიტ კირიშჩიმ. როგორც ცნობილია, თურქეთი ინტენსიურ დიპლომატიურ სამუშაოს ახორციელებს და გამოდის შუამავლის როლში უკრაინის მარცვლეულის ექსპორტზე ბლოკადის მოხსნასთან დაკავშირებით. მიზანი მარცვლეულისთვის „მწვანე დერეფნის“ შექმნაა.

მოამზადა
ია შველიძემ

საკმარისია თუ არა, უბრალოდ, კარგი ადვოკატობა?

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

ადვოკატის პროფესია საზოგადოებაში დიდ ინტერესს იწვევს და აქედან გამომდინარე, უამრავი კითხვაც ჩნდება. საინტერესოა, რას ნიშნავს, იყო კარგი ადვოკატი, საერთოდ, არსებობს თუ არა ამგვარი დეფინიციები და ზუსტი შეფასებები და ამასთან, საკმარისია თუ არა, უბრალოდ, კარგი ადვოკატობა? ამ კითხვებზე ადვოკატი ***სოსო ძუთათელაძე*** *გვპასუხობს*

- რატომ და როდის დაინტერესდით იურიდიული სფეროთი?

- ეს ინტერესი დეტექტიური ნაწარმოებების სიყვარულმა განაპირობა, რომელსაც ბავშვობიდან ვკითხულობდი, ასევე ხშირად ვუყურებდი ამ ჟანრის ფილმებს და სერიალებს. სკოლა რომ დავამთავრე, გადავწყვიტე სამართალმცოდნეობაზე ჩამებარებინა. მაინტერესებდა, რეალურ სივრცეში როგორ მიმდინარეობდა გამოძიება და სასამართლო პროცესები. დავამთავრე აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამა, შემდეგ იმავე უნივერსიტეტის მაგისტრატურა. ამის შემდეგ გადავწყვიტე, საადვოკატო საქმიანობაში მეცადა ბედი. ჩავბარე ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, გავიარე 1-წლიანი თეორიული და პრაქტიკული სტაჟირების კურსი, ამის შემდგომ მომენიჭა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება და 2021 წლის სექტებრიდან აქტიურად ვარ ჩართული ამ სფეროში.

- ადვოკატი - ეს თავისუფალი პროფესიაა?

- ერთმნიშვნელოვნად. ადვოკატი აბსოლუტურად თავისუფალია. ეს თავისუფლება გულისხმობს კანონის, ეთიკის და მორალის ფარგლებში განახორციელოს საკუთარი საქმიანობა, თუ რა თქმა, უნდა ის არ ზღუდავს სხვა პირთა უფლებებს. ადვოკატთა კორპუსი თავად ქმნის თვითმმართველობას, მისი მართვისა და პროფესიული ქცევის წესების დაცვის ორგანოებს, თავად ახორციელებს კონტროლს ადვოკატთა პროფესიულ განვითარებაზე, ქმნის და ღებულობს ადვოკატთა პროფესიული ქცევის წესებს. თავისუფლება ნიშნავს, შეზღუდვის გარეშე განახორციელო შენს საქმიანობასთან დაკავშირებული, კანონით დაშვებული ყველა მოქმედება, ოღონდ სხვისი უფლებების ხელყოფის გარეშე. თუ საკუთარ მოქმედებებზე პასუხისმგებელი არ ხარ, თავისუფალი ადამიანი, რა თქმა უნდა, ვერასოდეს იქნები.

- რა როლი ენიჭება ადვოკატის ეთიკის კოდექსს მის საქმიანობაში?

- ადვოკატი მოვალეა, მისი საქმიანობის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები. საჯარო სივრცეში თუნდაც პოსტის ან კომენტარის დაწერა ადვოკატის მიერ, ითვლება სამართლებრივი კონსულტაციის გაცემად. შესაძლებელია ადვოკატს ამის საფუძველზე პროფესიული ეთიკით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა დაეკისროს, თუ იგი მოსაზრების სახით არასწორ ინფორმაციას აწვდის მოქალაქეს. ამიტომაც ადვოკატი ვალდებულია, დაცვის ქვეშ მყოფთან, კოლეგებთან, მოსამართლესთან და პროცესუალურ მოწინააღმდეგეებთან ურთიერთობაში, როგორც პროცესზე, ასევე მის გარეთ, დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები. ეს არის ერთადერთი წესი, ნორმა, რეგულაცია, რომელიც უშუალოდ ადვოკატს ეხება. ეთიკის კოდექსი არის ადვოკატის ქცევის მარეგულირებელ ნორმათა ერთობლიობა და საზოგადოებას იცავს არაპროფესიონალი, არაკომპეტენტური და ზნეობრივად მიუღებელი ადვოკატებისაგან.

- რა არის ადვოკატის საქმიანობის მთავარი პრინციპები?

- პირველ რიგში საადვოკატო საქმიანობა კეთილსინდისიერებისა და პროფესიონალიზმის პრინციპის საფუძველზე ხორციელდება. ადვოკატი უნდა ეცადოს, რომ მისი საქმიანობა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე, მის დაცვის ქვეშ მყოფს და ახლო ნათესავებს საქმის სამართლებრივი მხარე და სამართლებრივი დეტალები აუხსნას მათთვის გასაგები ენით. რაც შეეხება პროფესიონალიზმის პრინციპს, ეს ადვოკატის საქმიანობის ამოსავალი წერტილია. თუ ადვოკატს შესაბამისი კვალიფიკაცია და ცოდნა არ აქვს, შეუძლებელია, მან ბრალდებულის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა შეძლოს.

- რამდენად მნიშვნელოვანია კლიენტის ინტერესის პრიორიტეტულობა პირად ინტერესთან მიმართებაში?

- კლიენტის ინტერესები საკუთარ და სხვათა ინტერესებზე წინ უნდა იდგეს. ადვოკატი შეუპოვრად, ჭეროვნად და ხარისხიანად უნდა ახორციელებდეს კლიენტის სასარგებლოდ იურიდიულ საქმიანობას. მოკლედ რომ ვთქვათ, ეგოიზმი საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში, ყველაზე არასათანადო და არაორგანული „მეგობარია“. ჩვენ გვაქვს უაღრესად რთული და საჭირო პროფესია. როცა ადამიანი მოგმართავს და შექმნილ სიტუაციაში ერთადერთ გამოსავლად შენი დახმარების გაწევა მიაჩნია, ვალდებული ხარ, არ გაუცრუო იმედი და ნებისმიერ დროს, ყველაფერი გააკეთო მისი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად. - რა არის მთავარი კლიენტთან ურთიერთობისას?

- ყველაზე მთავარი, ეს ღიად და გამჭვირვალედ მუშაობაა. ადვოკატი ვალდებულია, საკუთარ კლიენტს ნებისმიერი გარემოების ცვლილების შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია. ძალიან რთულია, მძიმე სიტუაციაში მყოფ ადამიანს აცნობო, რომ მისი სამართლებრივი მდგომარეობა შესაძლებელია კიდევ უფრო მეტად გართულდეს. ეს ყველაფერი უნდა გაკეთო ისე, რომ არ დაარღვიო ოქროს შუალედი, ანუ არც უსაფუძვლო იმედები მისცე და არც მორალურად და სულიერად გატეხო. უნდა შეძლო და აუხსნა სიტუაციის რეალური არსი, მაგრამ ამასთანავე, აუცილებლად უნდა შესთავაზო შესაბამისი გამოსავალი. თუ ადვოკატი იგრძნობს საკუთარ პროფესიულ პასუხისმგებლობას კლიენტის რჩევისას, დაცვის განხორციელებისას, ის მიხვდება, რომ ნაწილობრივ მასზეა დამოკიდებული კლიენტის მდგომარეობა და მისი პერსპექტივა. პასუხისმგებლობის შეგრძნება რომ მთავარი კომპონენტია ეს განსაკუთრებით მაშინ ჩანს, როდესაც კლიენტმა, შესაძლებელია, ადვოკატის საქმიანობის გამო, ზიანი მიიღოს და ზოგჯერ გამოუსწორებელიც კი.

- რამდენად რთულია, იყო კარგი ადვოკატი?

- მეტად რთულია. სულ მცირე, რამდენიმე, შეიძლება ითქვას, „სასიცოცხლო“ მნიშვნელობის პირობას უნდა აკმაყოფილებდე. როდესაც ამ პროფესიაში ხარ, მუდმივად უნდა ვითარდებოდე, ზრუნავდე საკუთარი გონებრივი და პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერებაზე, ეცნობოდე საკანონმდებლო სიახლეებს სხვადასხვა სფეროდან, სასამართლო გადაწყვეტილებებს. განვითარება ამ პროფესიის განუყოფელი ნაწილია, რადგან ადვოკატი არ არის მხოლოდ პროფესიულად განსწავლული ადამიანი. მას უნდა გააჩნდეს მრავალმხრივი ცოდნა და ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი.

- ძვირადღირებული ადვოკატი ძლიერ ადვოკატს ნიშნავს?

- ძლიერი ადვოკატი, პირველ რიგში, ნიშნავს პროფესიონალ და კეთილსინდისიერ ადვოკატს. ყველა სხვადასხვანაირად აფასებს თავის შრომას. მიმაჩნია, რომ ჩვენი საქმიანობა უნდა იყოს მაღალანაზღაურებადი, რადგან ამ პროფესიამდე რომ მოხვიდე, საჭიროა მრავალი წლის დაუღალავი შრომა, განუზომლად დიდი გონებრივი, ფიზიკური და მატერიალური რესურსის დახარჯვა. ხშირად ადვოკატი, მისი მაღალი პროფესიონალიზმისა და ეთიკური სტანდარტების მიუხედავად, არ არის ძვირადღირებული, თუმცა, არ გამოირიცხება ისიც, რომ ასეთი ადვოკატი იყოს ძვირადღირებულიც. ამდენად, ადვოკატის ძვირადღირებულება არ არის არც საკმარისი და არც აუცილებელი პირობა იმისა, რომ ვამტკიცოთ მისი პროფესიონალიზმი.

- განსაზღვრავთ თუ არა წინასწარ საქმის სავარაუდო შედეგს და რამდენად ხშირად ამართლებს თქვენი ვარაუდი?

- გარკვეული ვარაუდების გამოთქმა ადვოკატის ვალდებულებაცაა, თუმცა გარანტიების გაცემა მას ეკრძალება. რა თქმა უნდა, საქმის სავარაუდო შედეგს მეც განვსაზღვრავ, რაც ხშირად მართლდება, თუმცა, არა ყოველთვის. ამას გააჩნია როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური ახსნა. ვთვლი, რომ ჩვენს საქმიანობაში გარანტიები არ არსებობს და ალბათ, ამაში ყველა ჩემი კოლეგა დამეთანხმება.

- თვლით, რომ დღეს მოსამართლეებს ჩვენს ქვეყანაში უჭირთ იყვნენ დამოუკიდებლები და ობიექტურები?

- ცოტა არ იყოს, დღეს ქვეყანაში გამამართლებელი განაჩენების „დეფიციტია“, რა თქმა უნდა, საბედნიეროდ, არსებობენ მოსამართლეები, რომლებიც იღებენ კანონიერ და სამართლიან გადაწყვეტილებებს შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში. ვისურვებდი, რომ უფრო გაზრდილიყოს იმ მოსამართლეთა რაოდენობა, რომლებიც გაიზიარებენ დაცვის მხარის დასაბუთებულ შუამდგომლობებს, მოსაზრებებსა თუ მტკიცებულებებს. ამის ხარჯზე სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი და ნდობა მართლმსაჯულების სისტემისადმი ერთიორად გაიზრდება, რაც ძალიან წაადგება ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის კიდევ უფრო მეტად განვითარებას.

- ადვოკატის პროფესია რა სიმაღლეზე დგას დღეს საქართველოში?

- ძალიან ბევრმა, ენთუზიაზმით აღსავსე ახალგაზრდა ადვოკატმა შემოაბიჯა პროფესიაში, რამაც ერთიორად გააძლიერა ეს პროფესია და ვფიქრობ, იგი მოწოდების სიმაღლეზეა. დღესდღეობით, ადვოკატი მართლმსაჯულების სისტემის ჯაჭვში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია.

> *„ცოტა არ იყოს, დღეს ქვეყანაში გამამართლებელი განაჩენების „დეფიციტია“, რა თქმა უნდა, საბედნიეროდ, არსებობენ მოსამართლეები, რომლებიც იღებენ კანონიერ და სამართლიან გადაწყვეტილებებს შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში. ვისურვებდი, რომ უფრო გაზრდილიყოს იმ მოსამართლეთა რაოდენობა, რომლებიც გაიზიარებენ დაცვის მხარის დასაბუთებულ შუამდგომლობებს, მოსაზრებებსა თუ მტკიცებულებებს*

მოსწავლეებში ბიზნესიდეების განვითარებისთვის...

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმის რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, USAID-თან ერთად, 2020 წლიდან, სკოლის მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს. ესაა „იდეატორთა კლუბები“ რომელიც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, ამა თუ იმ მიმართულებით დაწერონ პროექტები, მასში გამარჯვებულს კი სპეციალური ჟიური გამოავლენს

ამჯერად, „წლის იდეატორის“ ტიტული მე-14 საჯარო სკოლის პროექტს „მომავლის ხიდი“ ერგო, რომელიც ჟიურიმ 6 საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ წარდგენილ პროექტებში გამოარჩია.

აღსანიშნავია, რომ „მომავლის ხიდის“ პროექტზე მე-14 საჯარო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლეები: თათია დიასამიძე, ნიცა კონცელიძე, მარი ბაკურიძე, ლიკა ბერიძე, სარა გურგენიძე და მარი შონია ორი თვის განმავლობაში მუშაობდნენ.

ჟიურიმ „წლის იდეატორთან“ ერთად, ასევე, გამოავლინა ყველაზე „ინოვაციური“, „პრაქტიკული“, „მდგრადი“ და „შემოქმედებითი“ პროექტები.

აღნიშნული პროექტი იმითაც არის გამორჩეული, რომ უნივერსიტეტის, სკოლისა და ბიზნესის სექტორის თანამშრომლობას ითვალისწინებს. მისასალმებელია, რომ „იდეატორთა კლუბების“ ჩამოყალიბებაში მონაწილეობის სურვილი ექვსმა ბიზნესლიდერმა გამოხატა, ესენია: ბაზისბანკი, სამშენებლო კომპანიები, შპს „ჰორიზონ ჯგუფი“ და შპს „ანაგი“, ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალი, აჭარის საექთნო ასოციაცია, კლინიკა „ჰელსი“ და ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლების - „პროგრესის“ ქსელი.

აღსანიშნავია, რომ იდეატორთა კლუბი მოიცავს კლასგარეშე აქტივობებს, რომლებიც დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნების, ეფექტური კომუნიკაციის, გუნდური მუშაობისა და პრობლემების შემოქმედებითად გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს უვითარებს. იდეატორთა კლუბებში ჩართული მოსწავლეების განცხადებით, მათ მიეცათ შესაძლებლობა, თავიანთი უნარები წარმოაჩინონ, რეალურად განახორციელონ ის, რაზეც ხშირად უფიქრიათ და გუნდური მუშაობის პრინციპით ეძიონ ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრის გზა. მათივე განმარტებით, აღნიშნულ პროექტში ჩართვამ განაპირობა ის, რომ დაიწყეს ფიქრი ბიზნესიდეების განხორციელებაზე, რომელიც, როგორც ამბობენ, მომავალში აუცილებლად გამოადგებათ.

პროექტში ჩართული ბიზნესსექტორის წარმომადგენლებმა სკოლის მოსწავლეები სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვეს, ხოლო მონაწილე სკოლებს bsu-მ USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის პროექტის „იდეატორთა კლუბის“ ფარგლებში, მრავალფუნქციური პრინტერები გადასცა.

კლუბები სკოლის ბაზაზე დაფუძნდა და მათში მე-4, მე-5 და მე-6 კლასების მოსწავლეები გაერთიანდნენ.

„ვცდილობთ, თითოეული ნივთი იყოს ემოციურად დატვირთული და სიხარულის მომტანი“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

„აჩუქე ქართული“ ესაა სხვადასხვა დიზაინის, ფორმის და ზომის ფოტოკოლაჟების, ფოტო-ყუთების, ალბომების, დღიურების, სერტიფიკატებისა და ა.შ. ბრენდი, რომლის სულისჩამდგმელი ***მანონი ბოლქვაძე*** *გახლავთ. შოუთი „შარქ თენქ საქართველო“ იგი მთელმა ქვეყანამ გაიცნო.*

- მანონი, თქვენს ოჯახზე გვიამბეთ...

- 4 და მყავს: რიმა, რენა, როენა და როშანი. გამიმართლა, მე ვარ ყველაზე უმცროსი, ამდენად, ყველაზე განებივრებული და გამორჩეული (იცინის).

- როგორი ბავშვი იყავით, რა იყო თქვენი ინტერესის სფერო?

- პატარაობაშიც აქტიური, ცელქი და ცნობისმოყვარე ვიყავი. რადგან ოჯახში ყველაზე პატარა ვარ, ჩემზე ნაკლები შეზღუდვები ვრცელდებოდა. ვაფუჭებდი ბევრ საჭირო თუ არასაჭირო ნივთს და ასე გარდავქმნიდი თითქოსდა ორიგინალურ ნივთად.

- რა პროფესია აირჩიეთ და რატომ?

- სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩავბარე სამსახიობოზე, რომელიც არ დამიმთავრებია. პირველივე კურსზე შევძელი 10-მდე სხვადასხვა პროფესიაში მეცადა ბედი. ავითვისე ოფისის მენეჯერის სპეციალობა. ძალიან მომწონდა ანიმატორად მუშაობა, ბავშვებთან ურთიერთობა და ამის გამო, ზოგადი ბავშვთა ფსიქოლოგია და ინკლუზიური განათლების სფეროც შევისწავლე. საბოლოო ჯამში, ვარ თვითდასაქმებული და ვთვლი, რომ ყველა გავლილი პრაქტიკა მომხმარებელთან კომუნიკაციაში მეხმარება, რადგან სხვადასხვა სფეროს და ასაკის ადამიანებთან მაქვს შეხება.

- რას მოიცავს „აჩუქე ქართული“, რამდენი და რა სახის პროდუქცია გაქვთ?

- „აჩუქე ქართული“ არ არის მხოლოდ ალბომების ან ფოტოების ნაკრები. ვცდილობთ თითოეული ნივთი იყოს ემოციურად დატვირთული და სიხარულის მომტანი. ჩვენი თითოეული ნივთი იქმნება დიდი სიყვარულით და ამას ჩვენი მომხმარებელიც გრძნობს. ამ დროისათვის გვაქვს 30-მდე ხელნაკეთი ფოტოპროდუქცია: სხვადასხვა დიზაინის, ფორმის და ზომის ფოტოკოლაჟები, ფოტო-ყუთები, ალბომები, დღიურები და ა.შ. მუდმივად ვცდილობთ, მომხმარებელს სიახლე

შევთავაზოთ და სანამ თქვენ ამ ინტერვიუს გამოაქვეყნებთ, შეიძლება რამდენიმე პროდუქტი უკვე დამატებულიც მქონდეს (იცინის).

- საიდან და როდის გაგიჩნდათ ამ საქმის კეთების იდეა?

- ყოველთვის მიყვარდა ჩემი საყვარელი ფოტოების ორიგინალურად შენახვა. ეს სხვებსაც მოსწონდათ და მეგობრებს ვჩუქნიდი ასე დამზადებულ სურათებს. როცა ამან დიდი ინტერესი გამოიწვია, მივხვდი - რატომაც არა, ამ საქმეზე უნდა ვიფიქრო სერიოზულად!

- როგორც ვიცი, თქვენი დაც არის ჩართული ამ საქმეში?

- მხოლოდ ერთი და, მაგრამ ვისაც დრო აქვს, ყველა მეხმარება. დედამთილ-მამამთილი ბავშვის აღზრდაში მიწყობენ ხელს, მეუღლე და დები, როცა დიდი შეკვეთა მაქვს აღებული და დროში ვერ ვასწრებ, მეხმარებიან რითაც შეუძლიათ.

- როგორ ამზადებთ პროდუქციას?

- ყველა პროდუქტს ვამზადებ ხელით, რაც მოითხოვს სიზუსტეს და დიდ ენერგიას. ფიზიკური სამუშაო, რა თქმა უნდა, დამღლელია, მაგრამ ეს საქმე ისე მიყვარს, რომ სხვა ყველაფერი ჩემთვის მეორეხარისხოვანია. რთულია იმ მხრივ, რომ უნდა მოვერგო ყველა მომხმარებლის გემოვნებას. ასევე, შეიძლება ერთმა არასწორმა გაჭრამ, გაკეცვამ თუ გახაზვამ მთელი შეკვეთა დააზიანოს და თავიდან მომიწიოს დამზადება. არის შემთხვევები, როცა ფოტოები ცუდი ხარისხისაა და მიწევს თითოეული პროგრამულად განვაახლო.

- შოუში „შარქ თენქ საქართველო“ მიიღეთ მონაწილეობა, რა მოგიტანათ სატელევიზიო სივრცეში გამოჩენამ?

- პირველ რიგში, ამიმაღლა ცნობადობა, მივიღე საჭირო რჩევები „შარქებისგან“ და გამოცდილება - პროექტისგან. გადაცემის ჩაწერამდე კონკურსის სახით რამდენიმე ეტაპი გავიარე, ყოველი ეტაპის გადალახვამ რაღაც ახალი შემძინა და საკუთარი თავის რწმენა მომიმატა. პირველ რიგში, მინდოდა „შარქებისთვის“ გამეცნო ჩემი საქმიანობა, მეჩუქებინა მათთვის ჩემი დამზადებული საჩუქრები, წარვმდგარიყავი ფართო აუდიტორიის წინაშე. რა თქმა უნდა, მინდოდა ინვესტიციის მოპოვებაც. ჩემი საჩუქრები ძალიან მოეწონათ, რამაც უზომოდ გამახარა. მივიღე ისეთი რჩევებიც, რომელიც განვითარებაში კიდევ უფრო დამეხმარება. პირველად წარვსდექი ასეთი ფართო აუდიტორიის წინაშე და ვფიქრობ, საკმაოდ კარგი გამოვიდა. ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი მთელ „შარქ თენქ საქართველოს“ გუნდს ასეთი კარგი პროექტისთვის. ჩემთვის ამ გადაცემაში უბრალოდ მონაწილეობაც კი გამარჯვება და უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯია.

- სოციალურ გვერდზე საკმაოდ ბევრი გამომწერი გყავთ, მომხმარებლების კეთილგანწყობას გრძნობთ?

- კეთილგანწყობა იგრძნობა სოციალურ ქსელშიც და რეალურ ცხოვრებაშიც. ყოფილა შემთხვევა, როცა უცნობებს უთქვამთ, რომ იციან ჩემს შესახებ, რაც ძალიან მაბედნიერებს და მუშაობის სტიმულს მაძლევს.

- როგორია თქვენი იდეალური სამუშაო გარემო?

- იდეალური სამუშაო გარემო არის მაშინ, როცა მაქვს გამართული ხელსაწყოები, არ „ჭედავს“ კომპიუტერი და არის კარგი განათება, ასევე, როცა დამკვეთი კმაყოფილია და საჩუქრის ადრესატი - ბედნიერი.

- ალბათ, ბევრი შეკვეთა გაქვთ, როგორ უთავსებთ ოჯახის საქმეს ამ ყველაფერს?

- მეუღლის დამსახურებაა, რომ დღეს ამ საქმეს ვაკეთებ, რადგან მან მასწავლა ყველა ის პროგრამა, რაშიც ვმუშაობ. მეხმარება როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერადაც. ის არის ამ საქმეში მიმწოდებელი, კურიერი, დიზაინერიც... ჩემი მარჯვენა კი არა, ლამის ორივე ხელია (იცინის). მქონდა რამდენიმე შემთხვევა, როცა კომპიუტერთან ჩამძინებია, დილით საწოლში გამღვიძებია, სამუშაო კი გაკეთებული დამხვედრია, ანუ მას დაუმუშავებია ფოტოები. ხშირად გაუკეთებია სახლის საქმეც, ბავშვის დედაც ლამის აჩიკოა (იცინის).

- რა გეგმები გაქვთ?

- ჩემი გეგმების ასრულებისთვის მჭირდება დანადგარების შეძენა. მინდა ისე გავაფართოვო ბიზნესი, რომ არ გადაიქცეს ავტომატიზებულ წარმოებად და ემოციურ, ორიგინალურ პროდუქტად დარჩეს.

უკრაინა

რუსეთი სევეროდონეცკზე თავდასხმის მცდელობებს სამი მხრიდან აგრძელებს, თუმცა უკრაინის თავდაცვა აკავებს მათ, - ამის შესახებ გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს ყოველდღიურ ანგარიშშია აღნიშნული.

უწყების მტკიცებით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ რომელიმე მხარემ, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მნიშვნელოვან წინსვლასა და წარმატებას მიაღწია.

„მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი კონცენტრირებულია დონბასის ცენტრალურ სექტორზე, ის თავის ფლანგზე კვლავ თავდაცვაზე რჩება“, - აცხადებენ ბრიტანეთის თავდაცვის უწყებაში.

ამასთან, მათივე ინფორმაციით, უკრაინულმა ძალებმა ცოტა ხნის წინ მიაღწიეს გარკვეულ წარმატებას კონტრშეტევებით ხერსონის ოლქში, მათ შორის დაიბრუნეს საყრდენი პუნქტი მდინარე ინგულეცის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

„ოკუპირებულ ხერსონის ოლქში, რუსეთი ოლქის ადმინისტრაციას იძულებით უერთებს რუსეთის ფედერაციის ადმინისტრაციას, რუსული რუბლის შემოღებით, სკოლებში რუსი მასწავლებლების დასაქმებით, რუსული სასწავლო გეგმისა და ენის დამკვიდრების მიზნით.

რუსეთი, დიდი ალბათობით, ხერსონის ოკუპაციას გამოაცხადებს, როგორც უკრაინელი ხალხისთვის გაუმჯობესებული მმართველობისა და ცხოვრების სტანდარტების მიწოდების მტკიცებულებას“, - აცხადებენ ბრიტანეთის თავდაცვის უწყებაში.

* * *

უკრაინის ელჩმა ევგენი კორნიჩუკმა ისრაელს მოუწოდა ე.წ. რკინის გუმბათის სარაკეტო სისტემა ოფიციალურ კიევს მიჰყიდოს და ასევე, ითხოვა რუსეთის შემოჭრისგან დასაცავად მათ ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები მიაწოდოს.

ამის შესახებ ინფორმაციას Associated Press-ი ავრცელებს.

ელჩს სურს, რომ ისრაელის მთავრობამ უკრაინას არა მხოლოდ სიტყვიერი მხარდაჭერა, არამედ სამხედრო დახმარებაც გაუწიოს.

თელ-ავივში გამართულ პრესკონფერენციაზე დიპლომატმა აღნიშნა, რომ უკრაინას სურს რკინის გუმბათის სარაკეტო სისტემა შეიძინოს და განაცხადა, რომ შეერთებული შტატები არ იქნება ამის წინააღმდეგი.

კორნიჩუკმა ასევე დასძინა, რომ ისრაელმა გასულ კვირას უარი განაცხადა აშშ-ის გერმანიისადმი მოთხოვნაზე, უკრაინისთვის ისრაელის მიერ ლიცენზირებული ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები „სპაიკი“ მიეწოდებინა.

როგორც მედია წერს, ისრაელი შიშობს, რომ მისი უკრაინისადმი სამხედრო დახმარება რუსეთს გააღიზიანებს, რომელსაც მეზობელ სირიაში სამხედროები ჰყავს შეყვანილი.. ისრაელი, რომელიც ხშირად ახორციელებს სირიაში დარტყმებს მტრის ობიექტებზე, უსაფრთხოების კოორდინაციისთვის რუსეთს ეყრდნობა.

უკრაინის ელჩის მოთხოვნაზე ისრაელის თავდაცვის სამინისტროს კომენტარი არ გაუკეთებია.

* * *

უკრაინის პრეზიდენტის, ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, ქვეყანას ურთულესი ზამთარი ელოდება.

„რუსეთის აგრესიის გამო შექმნილ ვითარებაში, ეს, მართლა, ყველაზე რთული ზამთარი იქნება ჩვენი დამოუკიდებლობის წლების მანძილზე“, - განაცხადა პრეზიდენტმა.

მისი თქმით, მთავრობისა და უმსხვილესი სახელმწიფო ენერგეტიკული კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, მომავალი ზამთრის სეზონისთვის მოსამზადებლად სპეციალური შტაბის შექმნის საკითხი განიხილა.

„ამ დროისთვის ჩვენ არ გავყიდით ჩვენს გაზს და ქვანახშირს საზღვარგარეთ. მთელი შიდა წარმოება მიმართული იქნება ჩვენი მოქალაქეების შიდა საჭიროებებზე", - განაცხადა ზელენსკიმ.

ამასთან, მისი თქმით, იგეგმება რუსეთის თავდასხმების შედეგად დაზიანებული ან განადგურებული თბოელექტროცენტრალების შეკეთება.

„ამ პროგრამის განხორციელება უახლოეს თვეებში უკრაინის ენერგეტიკის სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა“, - განაცხადა პრეზიდენტმა ზელენსკიმ.

* * *

შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებითა და სისტემებით უკრაინის უზრუნველყოფაზე მუშაობენ, - უკრაინული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ თეთრი სახლის მაღალჩინოსანმა განაცხადა.

„მხარს ვუჭერთ უკრაინას და ვმუშაობთ, რათა დავეხმაროთ მას სანაპირო დაცვის გაუმჯობესებაში. ამ ძალისხმევის ფარგლებში, ჩვენ უკრაინას სანაპირო თავდაცვის უპილოტო ხომალდებს მივაწვდით. ვმუშაობთ მოკავშირეებთან და პარტნიორებთან, რათა უკრაინას ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები და სისტემები მივაწოდოთ“, - განაცხადა თეთრი სახლის მაღალჩინოსანმა, რომლის ვინაობა არ სახელდება.

* * *

უკრაინაში „მწამებლების წიგნი“ შეიქმნება, რომელშიც დოკუმენტირებული იქნებიან ომის დამნაშავეები და კრიმინალები რუსული არმიიდან, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა.

„ეს არის კონკრეტული ფაქტები კონკრეტულ ადამიანებზე, რომლებიც დამნაშავეები არიან უკრაინელების მიმართ“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

მისი თქმით, „მწამებლების წიგნი“ იქნება რუსი ჯარისკაცებისა და მათი მეთაურებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთი საფუძველი.

„მწამებლების წიგნი“ არის ერთ-ერთი საფუძველი, დაეკისროთ პასუხისმგელობა არა მხოლოდ ომის დანაშაულებების უშუალო ჩამდენებს - საოკუპაციო ჯარის ჯარისკაცებს, არამედ მათ მეთაურებს, მათ, ვინც ბრძანებებს იძლეოდა. მათ, ვინც შესაძლებელი გახადა ყველაფერი, რაც გააკეთეს უკრაინაში: ბუჩაში, მარიუპოლში, ყველა ჩვენს ქალაქში, ყველა თემში, სადაც მიაღწიეს," - აღნიშნა ზელენსკიმ.

აპრილში, უკრაინის გენერალურმა პროკურორმა განაცხადა, რომ მისი ოფისი რუსეთის მიერ ჩადენილ სავარაუდო ომის დანაშაულის თითქმის 6 000 საქმეს იძიებს.

* * *

მსოფლიო ბანკის აღმასრულებელმა საბჭომ უკრაინისთვის, ფინანსური დახმარების სახით, დამატებით 1.49 მილიარდი აშშ დოლარის გამოყოფა დაამტკიცა, - ამის შესახებ ბანკის მიერ გავრცელებულ ანგარიშშია აღნიშნული. ბანკის ცნობით, თანხა მოხმარდება მთავრობისა და სოციალური სამსახურის მუშაკების ხელფასებს.

პროექტი მხარდაჭერილია გაერთიანებული სამეფოს, ნიდერლანდების, ლიეტუვისა და ლატვიის ფინანსური გარანტიებით; ასევე იტალიის მხრიდან პარალელური დაფინანსებით და თანადაფინანსებულია ახალი მრავალდონორთა ნდობის ფონდის შენატანებით რამდენიმე ქვეყნიდან, მათ შორის შვეიცარიიდან.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ.

„ყოველთვის ღიად ვსაუბრობ და შეცდომებსაც ვაღიარებ“

წლებია, ჩვენი კოლეგა ***ლენა მამულაძე*** *საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ხულოს ბიუროს ჟურნალისტია. იგი ჩვენი სტუმარია.*

- რაა მთავარი, რომ ჟურნალისტი მიმდინარე პროცესებს არ ჩამორჩეს?

- რესპონდენტების მუდმივი ძიება, ინფორმირებულობა, ობიექტური ინფორმაციის დროულად მიტანა აუდიტორიასთან... ვცდილობ, მოვლენებს არ ჩამოვრჩე.

- პროფესიის ერთგულება ყველაზე მეტად ჟურნალისტის საქმიანობაში ჩანს. ამართლებს ეს?

- არ ვიცი, რამდენად ამართლებს. ვერ ვიტყვი, რომ არასოდეს მინანია ამ პროფესიის ერთგულება, თუმცა არჩევანის წინაშე როცა ვდგები და ასეთიც ყოფილა, მაინც ერთგული ვრჩები. ეს შინაგანი მდგომარეობაა - ან გაქვს ან - არა. მისი უგულებელყოფა შეუძლებელია.

- სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრეთ, სამედიცინო ფაკულტეტზე ჩაირიცხეთ და... საიდან - სად?

- მიუხედავად იმისა, რომ პირველივე მცდელობაზე სამედიცინოზე ჩავირიცხე, ეს არ იყო ჩემი არჩევანი. ბავშვობიდან ჟურნალისტიკა მიტაცებდა, სხვა პასუხი არასოდეს მქონია, როდესაც მეკითხებოდნენ, ვინ მინდოდა გამოვსულიყავი. ახლობლებმა, მეგობრებმა გადამარწმუნეს, რასაც სისუსტედ ვთვლი. არ უნდა დამეთმო ჩემი პოზიცია. ტრადიციულ, ძველმოდურ ოჯახში ვიზრდებოდი, სადაც ჟურნალისტობა არ ითვლებოდა ქალის პროფესიად, ვისმენდი ათასგვარ არგუმენტს. საბოლოოდ, ეს სტიგმები დავარღვიე. თუმცა, სამედიცინო ფაკულტეტი სულ სხვა მიზეზით დავტოვე - დაფინანსება ვერ მივიღე, ოჯახს კი ჩემი ფინანსური მხარდაჭერა არ შეეძლო. მეორე წელს თავიდან ვცადე ბედი ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და ჩავირიცხე ჟურნალისტიკაზე. ალბათ, საბედისწერო ვერგამართლება იყო ფინანსური კრიზისიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა დღეს თეთრხალათიანი ვყოფილიყავი, ექიმი, რომელსაც თავისი პროფესია არ ეყვარებოდა. მხოლოდ მატერიალურ კეთილდღეობაზე არასოდეს ვიყავი ორიენტირებული, სხვა ღირებულებები უფრო მნიშვნელოვანია ჩემთვის.

- მთაში ყველა პროფესიის ადამიანს, ისიც ჟურნალისტს, რთულ პირობებში უწევს შრომა. რამდენად ართმევთ თავს?

- ჯერჯერობით, არანაირი ბარიერი არ შემქმნია. მთაში, ტყის პირას გაზრდილი ვარ და ფიზიკური დაბრკოლება არ მაკვირვებს, ფეხით კილომეტრების გავლა, გაუკვალავი თოვლი თუ სხვა, მთისათვის დამახასიათებელი სირთულეები, ჩემთვის არახალია.

- მრავალშვილიან ოჯახში გაზრდილს, ხასიათის რა ნიშან-თვისებები გამოგყვათ?

- მთავარი ჩემთვის ჰუმანურობა, თავმდაბლობა, სოციალურობაა, რაც ჩვენს დიდ, მრავალშვილიან ოჯახში არავის აკლდა. ეს იყო სხვების, ერთმანეთის კეთილდღეობაზე ზრუნვა, ურთიერთგატანა, დახმარება.

- სიუჟეტი, რომელიც თქვენს მუშაობას ლაქად გასდევს.

- კი, იყო ასეთი სიუჟეტიც ჩემს საქმიანობაში. სამწუხაროდ, ეთიკური ნორმები დავარღვიე, თუმცა ეს ჩემი გამოუცდელობის, დილეტანტობის გამო. დღემდე განვიცდი ამ ამბავს. ნებისმიერ საქმიანობაში არაფრად მიმაჩნია პროფესიონალიზმი, თუკი იგი ეთიკურ სტანდარტებს არ იქნება მორგებული.

- ტელერეპორტაჟი, რომელმაც ადამიანის ნორმალურ გარემოში დაბრუნებას შეუწყო ხელი?

- იყო ასეთიც. სოციალური რეპორტაჟი, რომელმაც ოჯახების ბედი გადაწყვიტა, უკეთესობისკენ შეცვალა. როდესაც მადლიერი რესპონდენტები მწერდნენ, მაშინ მივხვდი, რომ კალამი ტყუილად არ ამიღია ხელში.

- სოციალური მდგომარეობა მოსწავლეს, სტუდენტს ფუფუნებას არ გიქმნიდა?

- არასოდეს დამიმალავს, რომ არ ვიყავი სოციალურად დაწინაურებული ოჯახიდან. ყოველთვის მიწევდა ბრძოლა არსებობისთვის, გადარჩენისთვის, თუმცა ამ ყველაფერმა გამაძლიერა. ერთხელ ერთ-ერთ გასაუბრებაზეც როდესაც მკითხეს, რა მიმართულებით ვიმუშავებდი, ვუპასუხე, რომ სოციალურად დაბალ ფენას, მოწყვლად ჯგუფებს, მრავალშვილიანებს დავეხმარებოდი, მათი ყოფა ცოტათი მაინც რომ შემეცვალა. ძალიან ემოციური ვარ, როდესაც მსგავს კატეგორიასთან ვმუშაობ, ალბათ, ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, მათ მიმართ უფრო სოლიდარული ვარ.

- იყო პროფესიონალი ჟურნალისტი, ამასთან, შესანიშნავი მეოჯახე, რძალი - საკმაოდ რთულია.

- ჩემი მეუღლის დამსახურებად მივიჩნევ, რომ ორივე საქმეს ერთმანეთს ვუთავსებ. ხელს მიწყობენ მაქსიმალურად. ვცდილობ, არც ოჯახს და არც პროფესიას ხელი არ მივაკლო. არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვი იმასაც, რომ ძალიან შრომისმოყვარე ვარ. არ მახსოვს, ბოლოს როდის ვთქვი, დავიღალე ან ამას ხვალ გავაკეთებ-მეთქი. ფსიქოლოგიურად ყოველთვის ვამზადებ საკუთარ თავს, რომ მე ამას შევძლებ.

- კოლეგებთან, მეგობრებთან ურთიერთობებზე რას გვეტყვით?

- ნებისმიერ პიროვნებას პატივს ვცემ, ვუფრთხილდები მათთან ურთიერთობას.

- საიდუმლო, რომელსაც ჟურნალისტის უბის წიგნაკში ინახავთ და მომენტს ელოდებით, რომ გამოამზეუროთ...

- სხვათა შორის, სულ ხაზს ვუსვამ იმას, რომ ყველაფერი გამჭვირვალე უნდა იყოს. არ დამალავს ჭირი თავსო, - ნათქვამია. ყოველთვის ღიად ვსაუბრობ და შეცდომებსაც ვაღიარებ.

- კრიტიკული სიუჟეტი, რომლის მომზადებაზეც თავი შეიკავეთ...

- არ მახსენდება მსგავსი რამ - ვფიქრობ, ჟურნალისტმა კრიტიკული სიუჟეტიც უნდა მოამზადოს. ჯანსაღი, არგუმენტირებული კრიტიკის წინააღმდეგი არ ვარ.

- მარტო ტელეჟურნალისტის საქმიანობით შემოიფარგლებით თუ ბეჭდვით მედიასთანაც თანამშრომლობთ?

- სტუდენტობისას მქონდა ამის პატივი. ალბათ, გავაგრძელებ.

- ქართველი ლირიკოსი, ვისი შემოქმედებაც ბავშვობიდან გიტაცებთ...

- დავით გურამიშვილს ვასახელებ ამ მხრივ ტიტულოვან ლირიკოსად.

- ჟურნალისტურ სარბიელზე ხალხურ მარგალიტებს როგორ იყენებთ?

- იმის გამო, რომ საინფორმაციო განყოფილების ჟურნალისტი ვარ, არც ისე ხშირია ჩემს ნამუშევრებში ხალხური მარგალიტები. საავტორო გადაცემის გაკეთებას თუ შევძლებ მომავალში, სწორედ ამ მარგალიტებით შემოვქარგავ.

- მშობლების ამაგზე ხშირად საუბრობთ.

- დიახ, როდესაც მეკითხებიან, ვინ არიან ჩემი მშობლები, ყოველთვის დიდ რეგალიებს ვანიჭებ და არ ვარ სუბიექტური. მშობლებმა მასწავლეს, როგორი უნდა იყოს მოქალაქე, როგორ უნდა მოვექცე სხვებს. ამას თეორიულად არ მიხსნიდნენ, მათ ყოველდღიურ ყოფაში ვხედავდი, როგორ ზრუნავდნენ ისინი სხვებზე, სრულიად უცხოებზე... სტუმართმოყვარეობისა და კაცთმოყვარეობის კულტია ჩემი მშობლების ოჯახში.

- აქტიურად თანამშრომლობთ იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც გენდერული თანასწორობის თემაზე მუშაობენ. ოჯახში აჭარელი ქალის როლზე რას იტყვით?

- ძალიან ბევრისთვის აჭარელი ქალი ხმაამოუღებელ, მორჩილ, საოჯახო საქმეებით დაკავებულ ქალის სახესთან ასოცირდება, რასაც, რა თქმა უნდა, არ ვეთანხმები. მე უფრო დამოუკიდებელ, კლიშეებისგან თავისუფალ ქალებს მივესალმები.

- დედის გარდა, ვის მიიჩნევთ იდეალად?

- ბებიას დედის მხრიდან - ადამიანობის ეტალონი იყო. ხელვაჩაურში, სადაც ბებო ცხოვრობდა, ყველა იცნობდა ამ შავებში შემოსილ ბებიაქალს, 150-მდე მშობიარეს დაეხმარა შვილის დაბადებაში და არცერთი საბედისწერო შემთხვევა არ ჰქონია, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ თვითნასწავლი მეანი იყო. სწორედ მან მასწავლა პრინციპულობა, ზომიერი სიამაყე და უმაღლესი განათლების მიღების აუცილებლობაშიც სულ ის მარწმუნებდა.

- ფერმერი ქალი, რომელზეც გადაცემა მოამზადეთ...

- მრავალი ფერმერი ქალის შესახებ მოვამზადე რეპორტაჟი. იმ ქალებს განსაკუთრებით ვეტრფი, რომლებიც საკუთარი ხელით ქმნიან დოვლათს და სოციალური დახმარების იმედზე არ ცხოვრობენ. არ ჩამოვთვლი, რადგან არ მინდა ვინმე გამომრჩეს. ასეთს უკვე ბევრს ვიცნობ, ვინც სხვებისთვის ინსპირაციის წყარო გამხდარა.

- ვის უმადლით, რომ აჭარის ტელევიზიაში მიმდინარე საკადრო ცვლილებების ფონზე, ხულოს ბიუროში დარჩით?

- საკუთარ თავს, ჩემს პასუხისმგებლობას. საქმისთვის არასოდეს მიღალატია. დილემის წინაშე ბევრჯერ დავმდგარვარ, მაგრამ ჩემი პროფესია არაფერზე გამიცვლია.

- ოპერატორი და ტელეჟურნალისტი განუყოფელია...

- ოპერატორი ზვიად აბულაძე ძალიან მეხმარება. მას ბევრად მეტი გამოცდილება აქვს და კარგ რჩევებს მაძლევს.

- ჟურნალისტი კურიოზის გარეშე წარმოუდგენელია...

- ჯერ კიდევ სტაჟიორი ვიყავი, როცა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე ჩამეძინა... ღამის ცვლაში ვმუშაობდი და უძინარმა მეორე სამსახურში გადავწყვიტე წასვლა. არაფერი მომისმენია იმ სესიაზე. მას შემდეგ ყველა თვეში ვაშუქებ სხდომებს და მიუხედავად იმისა, რომ ექვსი წელი გავიდა, არასოდეს მავიწყდება ეს ფაქტი, მეღიმება საკუთარ თავზე.

- მრავალი ჟურნალისტი მთას პირს მოუსინჯავს და... ზღვისპირეთში გადაბარგდება. ალბათ - თქვენც?

- ვერ ვიტყვი, რომ იდეაში არ მაქვს ქალაქში გადაბარგება, თუმცა არც აქ დარჩენას მივიჩნევ ტრაგედიად. ჯერჯერობით, ეს თემა კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება.

> *„ყოველთვის მიწევდა ბრძოლა არსებობისთვის, გადარჩენისთვის, თუმცა ამ ყველაფერმა გამაძლიერა. ერთხელ ერთ-ერთ გასაუბრებაზეც როდესაც მკითხეს, რა მიმართულებით ვიმუშავებდი, ვუპასუხე, რომ სოციალურად დაბალ ფენას, მოწყვლად ჯგუფებს, მრავალშვილიანებს დავეხმარებოდი, მათი ყოფა ცოტათი მაინც რომ შემეცვალა“*

ახალი შემადგენლობა აირჩიეს

გაიმართა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის შუახევის რაიონული ორგანიზაციის მე-11 საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია. მოისმინეს ორგანიზაციის თავმჯდომარის ლევან ნატარიძის ანგარიში 2018-2022 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ, ასევე, საკონტროლო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ბადრი მახარაძის ანგარიში. დელეგატმა მზევინარ დავითაძემ სამანდატო კომისიის მოხსენება წარმოადგინა.

კამათში მონაწილეობდნენ ნიგაზეულის, შუახევის, მახალაკიძეების საჯარო სკოლების პროფკომიტეტის თავმჯდომარეები ვასო ხიმშიაშვილი, თეიმურაზ დავითაძე, შოთა ფუტკარაძე, ახალდაბის საჯარო სკოლის დირექტორი თემურ დავითაძე, ქიძინიძეების საჯარო სკოლის მასწავლებელი სერიოჟა აბაშიძე, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, კომისიის თავმჯდომარე, ბრილის საჯარო სკოლის მასწავლებელი ფატი ჭაღალიძე, შუახევის რესურსცენტრის უფროსი ედუარდ გოგრაჭაძე.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, სპმთპ-ს აღმასრულებელი საბჭოს წევრი თემურ მჭედლიძე.

გამომსვლელებმა ყურადღება გაამახვილეს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის განსახორციელებელ ღონისძიებებზე, პედაგოგთა და განათლების სფეროში დასაქმებულთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებების დაცვაზე, პროფკავშირების როლისა და ავტორიტეტის ამაღლებაზე, განათლების სისტემაში არსებულ გამოწვევებსა და მათ დაძლევაში პროფკავშირის როლზე.

დელეგატებმა შუახევის რაიონული საბჭოს მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა დადებითად შეაფასეს და შესაბამისი დადგენილება მიიღეს.

კონფერენციაზე აირჩიეს რაიონული საბჭოს, საკონტროლო სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და სპმთპ-ის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის მე-11 კონფერენციის დელეგატები.

შუახევის რაიონულ ორგანიზაციას კვლავ ლევან ნატარიძე უხელმძღვანელებს.

გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ

პოლიტიკური მოღვაწეები სიკვდილის შემდეგაც ცოცხლობენ

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

წყანიშურები - ერთი უბანი სოფელ ნიგაზეულისა. აქ განისვენებს ეროვნული გმირის სელიმ ხიმშიაშვილის თავმოკვეთილი სხეული. ყოველ ზეიმზე «სელიმობის» მონაწილენი გმირის საფლავს გვირგვინითა და ყვავილებით ამკობდნენ. პანდემიის პირობებშიც კი ნიგაზეულელები და სელიმის გმირობისა და თავდადების თაყვანისმცემლები 3 ივნისს - სელიმის ხსენების დღეს - საძვალესთან იკრიბებოდნენ

წელსაც სელიმის გმირობისა და უკვდავყოფის ზეიმის მონაწილეებმა პირველად ნიგაზეულს მიაკითხეს. სამი თაობის ნიგაზეულელებმა, მათმა სტუმრებმა ერთხელ კიდევ დაუფასეს ამაგი ღირსეულ თანასოფლელს.

- «სელიმობის» ყველა დღესასწაულის მონაწილე ვარ, - თქვა ნიგაზეულელმა თამარ ხიმშიაშვილმა, - მოსწავლე ვიყავი, როცა 3 ივნისს მის საფლავთან ყვავილები მოგვქონდა. ზეიმს არც სტუდენტობის წლებში ვაცდენდი. ამჯერად საჯარო მოხელის რანგში მაქვს პატივი, ქვეყნის, რეგიონის, შუახევის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლებთან, მწერლებთან, პოეტებთან, მეცნიერებთან ერთად პატივი მივაგო პიროვნებას, რომელმაც თავისი სახელი უკვდავყო და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიაში. საფლავზე სიმბოლურად ამოსული ნაძვი და მუხა ჩვენი, თითოეული ქართველის სიძლიერისა და სიცოცხლის სიმბოლოდ მიმაჩნია.

«სელიმობის» მონაწილენი შერიფ ხიმშიაშვილის სახელობის მუზეუმში იმ დროს შევიდნენ, როცა მისი დირექტორი იზოლდა სურმანიძე ბათუმის ოცდამეხუთე საჯარო სკოლის მოსწავლეებს და პედაგოგებს ხიმშიაშვილის გვარის ისტორიას, სელიმისა და შერიფის დამსახურებას აჭარის ოსმალთა ტყვეობიდან გამოხსნაში აცნობდა. იზოლდა სურმანიძემ მოზეიმეებს თითოეული ექსპონატის ისტორია ერთხელ კიდევ შეახსენა.

სერიყანა 1815 წლის 3 ივნისს ტრაგიკული ამბის მომსწრე და უკვდავმყოფელი გახდა. ოსმალოს ჯალათმა ხიხანის ციხეში შეპყრობილ სელიმს თავი მოჰკვეთა.

ეროვნული გმირის უკვდავსაყოფად ახლა აქ მემორიალია აღმართული, რომელიც ჩვენი გმირული წარსულის, ტრაგიკული ხვედრის ძეგლია. სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი მეუფე სპირიდონი, ეპარქიის მღვდელმსახურები, საქართველოს პარლამენტის, აჭარის უმაღლესი საბჭოს, აჭარის სამინისტროებისა და უწყებების, ქედის, შუახევის, ხულოს მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები მემორიალს გვირგვინებითა და ყვავილებით ამკობენ.

- ბაკოს საჯარო სკოლა სელიმ ხიმშიაშვილის, მთისუბნის - შერიფის სახელობისაა. სკოლის დირექტორი და პედაგოგები აქტიურად ვართ ჩართულნი «სელიმობის» ორგანიზებაში, საპატიო სტუმრების დახვედრაში. კეთილ მოგონებად მრჩება სოფელში საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ როინ მეტრეველის სტუმრობა, «სელიმობაზე» სიტყვით გამოსვლა. ორჯერ ზეიმზე მეზობელ თურქეთში მცხოვრები ხიმშიაშვილებიც გვსტუმრობდნენ. «სელიმობა» ყოველ წელს მეტ მნიშვნელობას და დატვირთვას იძენს, - გვითხრა ბაკოს საჯარო სკოლის დირექტორმა ხარიტონ დუმბაძემ.

«სელიმობა» ამჯერადაც ორგანიზებულად გაიმართა. ბაკოელებსა და მათ სტუმრებს, «სელიმობის» ორგანიზატორებს სელიმის როლსა და დამსახურებაზე, 3 ივნისის მნიშვნელობაზე ესაუბრნენ ხულოს, შუახევის, ქედის მუნიციპალიტეტების მერები ვახტანგ ბერიძე, ომარ ტაკიძე, როლანდ ბერიძე, საქართველოს პარლამენტის წევრი ანზორ ბოლქვაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, უმაღლესი საბჭოს წევრი ფრიდონ ფუტკარაძე, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე, ბაკოს, ნიგაზეულის საჯარო სკოლების დირექტორები ხარიტონ დუმბაძე, შაქრო ხიმშიაშვილი, სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი მეუფე სპირიდონი, პოეტი გულიკო გაბაიძე, ისტორიკოსი, პროფესორი სერგო დუმბაძე.

ხულოს სახელოვნებო სკოლის ანსამბლ «ციცინათელას», სხალთის, ხიხაძირის კულტურის სახლების ანსამბლების «სხალთის», «ხიხანის», ვერნების სასოფლო კლუბთან არსებული ანსამბლის, ხიხაძირის საჯარო სკოლის გოგონათა ქორეოგრაფიული ჯგუფის წევრებმა თავიანთი ხელოვნებით გაალამაზეს დღესასწაული. წამყვანებმა ლიზი ჩოგაძემ, მარი მიქელაძემ, ნონა ჯაბნიძემ, ლიზი დუმბაძემ მონაწილენი ქოჩახში შერიფისა და დუდი ხანუმ ბეჟანიძის საფლავთან მიიპატიჟეს.

ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას პანდემიის პერიოდში აქ რიგი ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩაუტარებია. მოწესრიგებულია ძვალთშესანახებთან მისასვლელი გზა, გაუკეთებიათ ფანჩატური. შერიფის საფლავი გვირგვინით შეამკეს.

- ეს ტერიტორია მალე ტურისტებისთვის საუკეთესო ობიექტად იქცევა, - გვითხრა ხულოს მერმა ვახტანგ ბერიძემ, - თოვლი როგორც კი გაქრება, ხიხანის ციხეზე დაწყებული სამუშაოები განახლდება. აქილევსის ქუსლი იყო ზამლეთი-ხიხაძირის საავტომობილო გზა, 30-კილომეტრიან ამ გზაზე ძალიან მცირე მონაკვეთი რჩება მოსაწესრიგებელი. ამჯერად არეკონსტრუქციო სამუშაოები ხიხაძირის შესასვლელში მიმდინარეობს. ბიზნესმენმა გოჩა ირემაძემ სასტუმრო «ორეპალასის» სახით ხიხაძირს შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა.

კომენტარები სხვა მონაწილეებსაც ვთხოვეთ.

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე: - აჭარის მთიანეთი ეფერება მამულიშვილს, რომლის სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში. პატივი მერგო ვიყო ამ ზეიმის მონაწილე. რამდენიმეწლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ ისევ განახლდა «სელიმობა». გავიხსენეთ სელიმი, მისი საქმე. ვისურვებდი ამ წამოწყების სამომავლოდ უფრო ფართო მასშტაბით აღნიშვნას.

პროფესორი სერგო დუმბაძე: - «სელიმობამ» ბაკოში ადამიანები მოიზიდა. მრავალი ისტორიული ფაქტი და მოვლენა ახლებურ ჭრილში წარმოჩნდა, რაც ქვეყნის წინაშე სელიმის დამსახურებას უკავშირდება. პოლიტიკური მოღვაწეები სიკვდილის შემდეგაც ცოცხლობენ. სახალხო დღესასწაული სელიმის, შერიფის სახელების უკვდავსაყოფად ტარდება.

„ნაადრევი ქორწინება“ - სემინარი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, გენდერული თანასწორობის მიზნობრივი ხელშეწყობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, „ნაადრევი ქორწინების“ თემაზე სემინარი ჩატარდა

ტრენინგს არასამთავრობო ორგანიზაცია „პროგრესის“ ხელმძღვანელი ნინო გაბუნია უძღვებოდა.

პროექტის მონაწილეებმა წარმოადგინეს ესეები, რომელიც ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ადრეული ქორწინების მანკიერი მხარეები; საქართველოს კანონმდებლობის ის ნორმები, რომელიც კრძალავს არასრულწლოვანთა ქორწინებას; ოჯახის შექმნის აუცილებელი წინაპირობების ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური მოწიფულობის აუცილებლობა.

მონაწილეებს საჩუქრად გადაეცათ ბრენდირებული ბლოკნოტები და კალმები.

მოსკოვი საფრანგეთს ემუქრება

საფრანგეთში 3 რუსული არხის: Rossiya 24-ის, RTR Planeta-სა და TV Tsentr-ის მაუწყებლობა აიკრძალა. ტელეარხების აკრძალვა ევროკავშირის ახალ სასანქციო სიაშიც შედიოდა, მაგრამ საფრანგეთმა ისინი ევროკავშირის გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე აკრძალა. რუსეთის რეაქციამაც არ დაახანა:

„საგარეო საქმეთა სამინისტრო რეაგირებას აუცილებლად მოახდენს მსგავს ქმედებებზე და მათ პასუხი გაეცემათ. ეს სიმპტომი დამახასიათებელია დემოკრატიის დასავლური ნეოლიბერალური მოდელის სწრაფად პროგრესირებადი დაავადებისთვის, რომელიც ანადგურებს წინა მიღწევებს და ანადგურებს ღირებულებებს“, - განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა მარია ზახაროვამ.

ამირან გურიელიძე

თაგინური აახმიანეს...

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

კურორტ გომის მთის სიახლოვეს არსებულ იალაღებზე ზაფხულში პირუტყვს შუახევისა და ქედის 30-ზე მეტი სოფლიდან მიერეკებიან. ხელისუფლების ძალისხმევა იქითკენაა მიმართული, რომ მოსახლეობას ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგის - მეცხოველეობის განვითარებაში. საამისოდ ბოლო წლებში მრავალი სასიკეთო საქმე გაკეთდა. ჭვანის ხეობიდან მთაში დენი გაიყვანეს, შიდა ქსელი მოაწესრიგეს, რასაც ერთ მილიონამდე ლარი მოხმარდა.

წლევანდელი უხვთოვლიანი ზამთრის შემდეგ, მთებში თოვლი გვიან დადნა, რამაც პირუტყვის გადარეკვა 15 დღით გადაავადა. მეცხოველეებს ნორმალური პირობები აქვთ. ჯერ კიდევ 5-7 მეტრის სიმაღლის ნამქერი იყო ჯვარიმინდორი-თაგინურის 8-კილომეტრიან მონაკვეთზე, როცა აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის მექანიზატორები გზის მოწესრიგებას შეუდგნენ.

საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატები ანზორ ბოლქვაძე, ფრიდონ ფუტკარაძე, შუახევის მერი ომარ ტაკიძე თაგინურზე იმყოფებოდნენ, მიმდინარე სამუშაოებს გაეცნენ და მეცხოველეებს შეხვდნენ.

- თაგინური გამონაკლისი არაა, - გვითხრა ომარ ტაკიძემ, - უკვე მთავრდება ყველა მთაში მისასვლელი საავტომობილო გზების მოწესრიგება. მალე ყველგან დენიც ჩაირთვება.

ზაზა შავაძე ლელა ფუტკარაძეს შეხვდა

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე საერთაშორისო ორგანიზაციის მერსი-ქორფსის კავკასიის პროგრამის დასავლეთ საქართველოს კოორდინატორ ლელა ფუტკარაძეს შეხვდა

შეხვედრაზე ისაუბრეს ორგანიზაციის მიერ აჭარაში განხორციელებულ და დაგეგმილ პროექტებზე, ითქვა, რომ ისინი მზად არიან სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის მიზნით, განახორციელონ ახალი პროექტები.

მინისტრმა სტუმარს გააცნო სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებები და ხედვები. განიხილეს სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის საკითხები.

სამინისტრო ბოლო წლების განმავლობაში აღნიშნულ პროგრამასთან თანამშრომლობით ახდენს ჯარას მეფუტკრეთა ბიოსერტიფიცირების ხელშეწყობას და დაფინანსებას, რაც ხელს უწყობს ჯარას თაფლის კონკურენტუნარიანობის ზრდას და ექსპორტზე გასვლას.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ მინისტრის მოადგილე ირმა აფხაზავა და პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტის უფროსი უჩა სურმანიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ᵃ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 8/06/22, 20 ⁵⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

პედაგოგი და პოეტი, რომელიც ყოველ პრობლემას ახალ შესაძლებლობად აღიქვამს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ნაზი აბაშიძე (კალოთელი) ხულოს საზღვრისპირა სოფელ კალოთის მკვიდრია. აქაურებს მდიდარი ისტორიული წარსული და დღევანდელობა აქვთ. ამის დასტურია სახალხო ზეიმი „კალოთლობა“. კალოთელებმა მრავალმხრივი მოღვაწეობით შორს გაიტანეს სოფლის სახელი. ტოპონიმი „კალოთა“ მნიშვნელობით სიცოცხლის საარსებო წყაროს, პურს უკავშირდება, რაც, უდავოდ, დასტურია მშობლიურის გულწრფელი სიყვარულისა. სოციალურ ქსელში გაჩნდა ფსიქოლოგიური დახმარების გვერდი „კალოთელი“, რომლის ინიციატორიც ნაზი აბაშიძეა (კალოთელი), პედაგოგი და პოეტი. საჭირო ფსიქოლოგიური, ლოგოპედის რჩევებით უანგაროდ ეხმარება საზოგადოებას. ნაზი „აჭარის“ სტუმარია.

- თუ გაიხსენებთ პირველ ნაწარმოებს, რომელიც ფსევდონიმით „კალოთელი“ დაწერეთ?

- ბავშვობიდან ვწერ თითქმის ყველაფერზე. მახსოვს, რაც არ მომწონდა ან მწყინდა იუმორისტულ-კომიკურად ვწერდი, ავტორს არ ვუთითებდი და ვაკვირდებოდი, როგორ რეაგირებდნენ მკითხველები, ამას მითვისება მოჰყვა, რაც დასაწყისში მახარებდა კიდეც, რადგან ვხედავდი, ჩემი „ნაჩმახი“ მოსწონდათ. მოგვიანებით ვეღარ გავიმეტე სხვისთვის და ფსევდონიმი გამოვიყენე. მახსოვს, 1999 წელს ტელესივრცე მოიცვა თანამედროვე საქართველოს გროტესკულმა ვერსიამ „დარდუბალა“. მთავარი პერსონაჟი იყო ქვეყნის პრეზიდენტი, ყველა სიკეთესთან ერთად, „მოცეკვავე“ ვარცხნილობით. ეს გახდა ინსპირაცია, რომ საკმაოდ ვრცელი სატირული ლექსის ავტორი გავმხდარიყავი, რომელიც ჩემი კლასელებისგან სკოლის მაშინდელი დირექტორის, ბატონ ლევან მამულაძის ხელში აღმოჩნდა და, რადგანაც ავტორი არ ჩანდა, გაზეთ „ხულოს“ რედაქციამ ამ ფსევდონიმით დაბეჭდა.

- თქვენი ბაბუა - ვლადიმერი (სანჯაღა) ხეობაში და ხულოში ცნობილი ადამიანი იყო. მისი როლი თქვენს შემოქმედებაში...

- სანჯაღა ჩემი შემოქმედების არტერიაა. ცნობილი იყო თავისი იუმორით. მიუხედავად ტრაგიზმით სავსე ცხოვრებისა, ოპტიმისტი იყო, ცხოვრების უმძიმეს დღეებზე ზღაპარივით გვიამბობდა (განსაკუთრებით ომის პერიოდზე), თან გააზრებულად ამახინჯებდა სიტყვებს, მაგალითად: „ზამთარია, მუხლამდეა თოვლი, ძლივს მივიკვლევ გზას და ვხედავ, რომ ჯოლი (ჟოლი) დამწიფებულა, ბოროწეულივით ბრდღვიალებს. იმფერი თოვს, ჰამა, იმფერი გავარვარებული ბზეა (მზეა), რომ ვიწვი კაცი“... ბაბუა პარადოქსების დიდოსტატი იყო. ჭიბონზე უკრავდა და დროის მეტ ნაწილს წისქვილში ატარებდა. მბობდა, პირველი სადღეგრძელო სწორედ მეწისქვილემ თქვა და ეს იყო - „ღელე-ღარდანის“. ღელე ხომ აუცილებელია წისქვილის ღარში გაიაროს და დააბრუნოს ბორბალი, რომელზეც უმძიმესი ქვები ალაგია სიმინდის დასაღრეღად, ასევე აუცილებელია სიმინდი, რომელიც ხაროდან ღარდანში ეშვება, მოკლედ თუ ეს მთლიანობა სუფევს, ესე იგი სოფელს შიმშილი არ ემუქრება და ღელე-ღარდანი სწორედ მაძღარი სოფლისა და ხალხის გადარჩენის სადღგრძელოაო. მართლაც, წისქვილი ხომ დიდებული კონსტანტაა... ბაბუას არასოდეს ჰქონდა თავისუფალი დრო, წერის საშუალება (საწერი საშუალებაც), თორემ დარწმუნებული ვარ, დიდებული მწერალი იქნებოდა. ბაბუა ის ადამიანი იყო, ვისზეც დაუსრულებლად შემიძლია საუბარი, მაგრამ არ მინდა თავი შეგაწყინოთ და მხოლოდ ერთ ეპიზოდს გავიხსენებ: კალოთლები ცნობილი არიან აზარტული თამაშების სიყვარულით და ყველა მოგებ-წაგების ქეიფით დაგვირგვინებით, ძირითადად, სოფლის ცენტრში შეიკრიბებიან ხოლმე, ზოგჯერ სახელდახელოდ წაუპიკნიკებენ. ბაბუა ბრაზდებოდა მშრალად მირთმეულ დასალევზე, რადგან ახლოს ცხოვრობდა, ხან თავისი ხელით მიიტანდა, მინიმუმ, პურსა და ყველს, ხან ვინმეს გააგზავნიდა და დააბარებდა: ჯავე (მუჯავე-მწნილი) წამოიღეთო. ერთ დღესაც ბევრჯერ გაუგზავნია ბავშვი, მეზობელს მორიდებით უთქვამს - სანჯაღ ტაი, გვეყოფა დღეს, ხვალაც ხომ გვინდა რამეო. ამაზე თავისებური, ულვაშებში ჩაცინებით უპასუხია: - დერგი სავსეა, ჭამეთ, შეირგეთო... უკვდავი მეგონა ჩემი ბაბუა... ბოლოხანს მთხოვა, სანამ ცოცხალი ვარ, პენსიას გამომრჩი და სოფლისა და საგვარეულოს ისტორიული კრებული გააკეთეო (ვმუშაობ ამ მიმართულებით). სიკვდილის წინა დღით მესენჯერით დაგვირეკა ჩატში „სანჯაღას ახლობლები“ და ყველას, განსაკუთრებით შვილიშვილებს გამოგვემშვიდობა, გვთხოვა, ერთად ვიმღეროთო, თან „ამაღამდელო ღამეო“ დაიწყო, ტირილით ავყევი, ის კი იღიმოდა... ეს იყო გედის უკანასკნელი სიმღერა. საქმეს შეალია თავისი ცხოვრება, ტყესა და ღრეში, სათიბსამკალში „თორმეტი წლის ჯეირანოო“ დასჭექდა და გულს ამოაყოლებდა (11 წლის დაობლდა და უმძიმეს პირობებში გაიზარდა ათი დედმამიშვილი). ბებიას გარდაცვალების შემდეგ მოთქმით ტიროდა და თითქმის ყოველ წუთს ამოიოხრებდა „ოფ, ანიჯანო“... თამამად ვამბობ, რომ ჩემი გულის ნაწილია, მას შემდეგ, რაც იმიერში გაგვიფრინდა, პესიმიზმი შემომეპარა და მიჭირს თავის დაღწევა. აქამდე მეგონა, რომ სოფელი მიყვარდა, თან ძალიან და იქაურობის გარეშე ვერ ვიარსებებდი... ზაფხულში დაგვტოვა ჩემმა სანჩომ და ყველაზე უფერული შემოდგომა დადგა კალოთაში. ადრე ბებიას გამო გავუნაწყენდი სამყაროს, მაგრამ ბაბუამ „შემარიგა“, თვითონაც რომ წავიდა, მეუღლესთან, ორ გოგონასა და ორ ვაჟთან, ჩემთვის ყველაზე საყვარელი სეზონი ზამთარი აღარ მოვიდა! კალოთაში არცერთი ნივთი არაა სანჯაღას ხელშეუხებელი, ყველაფერს სულს უდგამდა უბადლო ოსტატი. ქალაქიდან როცა ავდივარ, მგონია გარშემო ჯერ კიდევ გლოვობს ყველაფერი. მისი სიყვარულით ნაშენები წისქვილები, სახლები, მისი გაკეთებული სახელოსნო იარაღები, ბალახი, ქვა და კენჭებიც კი. სდუმს სანჯაღას ცელიცა და ცულიც, გაჩერებულია კედელზე დაკიდებული მაჯის საათი...

- რატომ არჩიეთ საბავშვო ბაღში აღმზრდელად მუშაობა?

- ბავშვების სიყვარულმა მაგნიტივით მიმიზადა და მიმაჯაჭვა კიდეც.

- როგორ უმკლავდებით ცხოვრებისეულ პრობლემებს?

- ვთვლი, რომ არ არსებობს დასასრული (ასე ჰქვია ჩემს პირველ წიგნსაც „დაბადებიდან დაბადებამდე“), ყოველ პრობლემას ახალ შესაძლებლობად აღვიქვამ და ვცდილობ, საინტერესო სივრცე გავშალო. ეს უნარი დამეხმარა პანდემიის ჟამსაც: არაერთი სახალისო აქტივობა და ონლაინწიგნების პრეზენტაცია დავიწყე. პანდემიამ სულ სხვა თვალით დაგვანახა სამყარო, მეტი გაგება, აზრთა გაცვლა და ცოდნის გაზიარება გვასწავლა.

- მრავალი სიგელის და დიპლომის მფლობელი, რომელს გამოარჩევდით?

- ინკლუზიური განათლების ელჩი-2022.

- შემოქმედებაში რომელი სჭარბობს - პესიმიზმი თუ ოპტიმიზმი?

- ოპტიმიზმი.

- გენეტიკა გამოძახილს მუდამ ჰპოვებს. გვარში სახალხო მთქმელს თუ გაიხსენებთ?

- გამოვყოფდი ჩემი პაპის პაპა დურსუნს, რომელიც განთქმული მელექსე ყოფილა. ამასთან, ისე უკრავდა სალამურზე, ნებისმიერს აიცეკვებდაო. მახსენდება ბეგლარ აბაშიძე, რომელიც ამასთან ერთად უდიდესი ძალის პატრონი იყო და რომ დასცლოდა, ალბათ ცნობილი მძლეოსანი იქნებოდა. ასევე პოეტი იყო ბიძაჩემი მიხეილი, რომელიც 23 წლის ასაკში, როგორც ბეგლარი, ტრაგიკულად დაიღუპა და, სამწუხაროდ, დაიკარგა მისი ლექსებიც, რომლებიც გერმანიაში გატარებული წლების ავტობიოგრაფიული გამოძახილი იყო.

- თუ გქონიათ შემთხვევა, რომ დაწერილი ლექსი დაგემალათ?

-კი... მეტიც, რვეულიც დამიხევია, დამიწვია კიდეც, რასაც დღეს ძალიან ვნანობ.

- მრავალი დიპლომისა და სიგელის მფლობელი, რომელს გამოარჩევთ?

- ვთვლი, რომ თუ გაქვს პრეტენზია, ასწავლო, თვითონაც შეუწყვეტლად უნდა სწავლობდე. ესაა მიზეზი, რომ მუდმივად ვარ ჩართული სიახლის ძიებაში, დღეისათვის ასზე მეტი სერტიფიკატი დამიგროვდა, გამოვყოფდი „მეტაფორული ბარათები, ქოუჩინგსა და ფსიქოკონსულტირებაში“.

- თანაავტორობით გამოცემული წიგნებიდან რომელია განსაკუთრებული და ისევ თუ მუშაობთ ამ მიმართულებით?

- ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე კრებულის თანაავტორი ვარ, მათგან პირველი იყო „წერილები ბათუმსა და ბათუმელებს“. მას მალევე მოჰყვა „სიყვარულის ოდა“ და „ჩვენი ხმა“. ახლა გამოიცა „ანგელოზების სამყაროში“, რომლის იდეაც ბაღში გატარებულმა წლებმა შთამაგონა, ფრთაშესხმაში კი დამეხმარა ორგანიზაცია „მწიგნობარის“ დირექტორი, ქალბატონი მანანა წულუკიძე. ვიმედოვნებ, მალე იხილავს სამზეოს კიდევ ერთი თანაავტორთა კრებული „პანდემიელები“, რომლის იდეაც ასევე, სოფელ კალოთის მკვიდრს, ჩემს ძმას გია აბაშიძეს ეკუთვნის.

- სტუმართმოყვარე ოჯახი გყავთ. მამა - ლევანი მრავალ ღირსეულ პიროვნებას მასპინძლობს. მათგან ვინ შემორჩა თქვენს მეხსიერებას?

- ლატვიელი ჟურნალისტი ეველინა, რომელიც ჩვენს ოჯახში შემთხვევით და ცარიელი საფულით აღმოჩნდა. რაღაც გადმორიცხვას ელოდებოდა, რომელიც დაგვიანდა და ათი დღის მასპინძლობის შემდეგ, ჩემი ოჯახის ფინანსური დახმარებით, უკან გაემგზავრა. სახლში ვხუმრობდით ხოლმე, ტურისტიც ასეთი უნდა მიიღოო... ორი წლის შემდეგ მთაში ვიღაც ქალმა გააზრებულად გადმოკვეთა საზღვარი და კბილებამდე შეიარაღებული, დედაჩემის - ჟენია გუნდაძის ნახვას ითხოვდა. მახსოვს როგორ შეგვეშინდა. დედა შეუპოვარი ქალია, ის იარაღშემართულ ქალბატონს მშვიდად მიუახლოვდა და თურქულად სთხოვა ვითარების ახსნა. ქალი დედას გადაეხვია, სახიდან ნიღაბი მოიხსნა... რომ არ გავაგრძელო, ჩვენი ეველინა სიურპრიზად მოგვევლინა. აღმოჩნდა, რომ ვერ დაეჯერებინა უსასყიდლო მასპინძლობა და „ვალის“ დასაბრუნებლად გვეძებდა.

- სოფელი ცნობილია მრავალშვილიანი დედებით, როგორ ეფერებით მათ სახელებს?

- დამაფიქრებელი კითხვაა... მრავალშვილიანობით ამაყობდნენ ჩემი ბებიები. მამის დედა ლილიანა, მეორე მსოფლიო ომში დაკარგული ჯეფარ ბათნიძის ერთადერთი ქალიშვილი, შვიდი შვილის დედა გახლდათ, დედაჩემის დედა კი, ნათელა ჯაბნიძე, თექვსმეტი შვილის მშობელია, ორივე მათგანს პოემა მივუძღვენი. დედაჩემმა ხუთი შვილი მოავლინა სამყაროში. დაბადებიდან ორმოცდაათი წლისთავზე ლექსების კრებულით „დედის თვალები“ გავახარე, გავაკეთე ის, რაც ხელმეწიფება.

- ქართველი კლასიკოსი, რომლის შემოქმედება სამაგიდო წიგნად გაქვთ?

- ნოდარ დუმბაძე.

- რამდენად წარმატებულად მიგაჩნიათ შემოქმედი, რომელიც აქტიურ პოლიტიკაშია ჩართული?

- შემოქმედებითი წვა და წარმატება ყველაგან საჭირო და მისასალმებელია. რატომაც არა...

- ჯერ კიდევ ახალგაზრდული ასაკი გაქვთ, როგორ იზიარებთ უკრაინელი დედების ბედს?

- ძნელი სათქმელია ვინმეს ბედის გაზიარება, მით უფრო დედის... ვთანამშრომლობ უკრაინელებისათვის შექმნილ დახმარების ფონდთან... ვლოცულობ, მჯერა, დედის ლოცვას უდიდესი ძალა აქვს.

- რას იტყოდით ინტერვიუს ბოლოს?

- მადლობას. მახარებს თქვენი გაზეთის ყურადღება, მინდა, შემოქმედებით კოლექტივს გისურვოთ ჯანმრთელობა და წარმატება. დაე, მშვიდობიან სამყაროში, მეტი სიყვარულით გვეცხოვროს.

სანიოლი: ფეხბურთელებს უყვართ საკუთარი ქვეყანა...

ერთა ლიგის მეორე ტურში სტუმრად ბულგარეთის 5:2-ით დამარცხების შემდეგ, პრესკონფერენციაზე, საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ვილი სანიოლმა თქვა:

„გუშინ ვისაუბრეთ სწრაფი ფეხურთის თამაშის შესახებ, თუმცა მატჩის წინ ეს მხოლოდ თეორიული საუბარია. ფეხბურთელებმა 100 პროცენტით გაამართლეს ჩემი იმედები და ამაყი ვარ. თავს პრივილეგირებულ ადამიანად ვთვლი, რადგან ასეთი მოთამაშეები მყავს. მათ უყვართ საკუთარი ქვეყანა და ფასეულობები. ძალიან კარგი დინამიკა გვაქვს, თუმცა მოთამაშეებმა იციან, რომ ფრთხილად უნდა ვიყოთ, რათა ეს დინამიკა არ დავკარგოთ. ანალოგიური პროფესიონალიზმით უნდა მივუდგეთ ჩვენს საქმეს სკოპიეში.

შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები გვქონდა, რაც ბუნებრივია. 10 დღეში 4 თამაში გვაქვს და მნიშვნელოვანია, რომ დინამიკის შესანარჩუნებლად სიახლეები შევიტანოთ გუნდში. დღევანდელი გადაწყვეტილება, რომ ლობჟანიძის ნაცვლად კაკაბაძეს ეთამაშა ფლანგზე, ტაქტიკური ხასიათის იყო. ის უფრო დაცვითი ფეხბურთელია და ვიფიქრე, რომ დღევანდელი მატჩისთვის ეს უკეთესი არჩევანი იქნებოდა. გარდა ამისა, საბამ 90 წუთი ითამაშა გიბრალტართან, საკმაოდ ბევრი სპრინტი ჰქონდა და მისი დასვენება აუცილებელი იყო. რა თქმა უნდა, ის დაგვეხმარება შემდეგ თამაშებში. 29 ფეხბურთელი გვყავს და ჩვენ ვაგებთ და ვიგებთ ერთად. მოთამაშეები ძალიან კარგად შეეწყვნენ ერთმანეთს, ისინი ბედნიერები არიან ერთად ყოფნით, ბრძოლით და ეს გაცილებით იოლს ხდის ჩემს მუშაობას.

ჩემი მიზანი ყოველთვის იყო სწრაფი ფეხბურთის თამაში, ისე, რომ დაცვაში სტაბილურობა არ დაგვეკარგა. უკანასკნელი თვეების განმავლობაში ამას მივაღწიეთ. თამაშის ფილოსოფია, ტაქტიკური ხასიათის, ფიზიკური ფორმა, ინდივიდუალური ხარისხი - ეს ყველაფერი ერთად ... ეს ... ეს ... ეს